

დაყუდებისათვის ჯორცთა და სულისა

თაზი 27

1. რამეთუ ჩუენ, ვინაჲთგან ვიქმნენით მონა არანმიდა-თა მათ ვნებათა და მორჩილ მათდა, ამისთვის მზაკუვარე-ბანიცა და მანქანებანი და საქმენი მათნი ვიცნით მცირედ რაჲმე, რომელნი-იგი ეუფლნეს გლახაკსა ამას სულსა ჩუენ-სა სულნი ბოროტნი. ხოლო სხუანი არიან იგინი, რომელთა ძალითა სულისა წმიდისაჲთა და მათგან სრულიად განთა-ვისუფლებითა იცნიან ღონენი მათნი, რამეთუ სხუად არს, რომელი ტკივილთა მათგან და საღმობათა სენისათა გუ-ლისწმა-ჰყოფნ, თუ ვითარი განსუენებაჲ აქუს სიმრთელესა, და სხუად არს, რომელი სიხარულისა მისგან სიმრთელისა მწუხარებასა მას სნეულებისასა გულისწმა-ჰყოფს და გამო-სახავს.

2. ხოლო ან ჩუენ, ვითარცა უძღურთა, გუეშინის სიბრძ-ნისმეტყუელებჲა თქუენდა მომართ ნავთსაყუდეღლისა მის-თვის დაყუდებისა. რამეთუ ვიცი, ვითარმედ – ვითარცა ძალ-ლი დგან რაჲ ტაბლასა თანა და უმზირინ წარტაცებად პუ-რისა და თვსაგან შეჭმად მისა, ეგრეთვე ეშმაკი დგას კრე-ბულსა თანა კეთილსა ძმათა მორჩილთასა და ისწრაფის, რაჲთამცა წარიტაცა მიერ სული მიზეზითა დაყუდებისაჲ-თა და პოვამცა იგი მარტოდ თვნიერ შემნისა და შეჭამა. ამისთვის უკუე, რაჲთა არა ვსცეთ მას ადგილი ჩუენისა ამის სიტყვსა მიერ და მიზეზ მათ, რომელნი ეძიებენ მიზეზსა, აქამომდე არა ჯერ-ვიჩინეთ თქუემად მშკდობისა და დაწყნა-რებისათვის ბრძოლასა შინა მყოფთა მათ ზეცისა მეუფისა მწედართა მიმართ. გარნა ამას ოდენ ვიტყვთ, ვითარმედ: „რომელნი კეთილად ჰბრძოდინ, მშკდობისა და დაყუდებისა გვრგვნი განემზადებინ მათ“. ხოლო ან, უკუეთუ გნებავს, მცირედ რაჲმე ვთქუათ გულისწმის-ყოფის სახით, რაჲთა

არავინ შენუხნეს, უკუეთუ სრულიად გამოუძიებელად დაუტეოთ ამის პირისა სიტყუად.

3. დაყუდებამ ჳორცთამ არს წესთა და საცნობელთა დაწყნარებამ, ხოლო დაყუდებამ სულისამ არს გულისსიტყუათა გულისწმის-ყოფამ და გონებამ წარუპარველი.

4. გულისსიტყუამ მწნწ და ახოანი მოყუარწ არს დაყუდებისამ, რომელი-იგი დგან კართა ზედა გულისათა დაუცადებელად და დაუძინებელად, და მომავალთა მათ მტერთა რომელთამე მოაკუდინებნ და რომელთამე იოტებნ.

5. რომელი გულისწმის-ყოფითა გულისამთა დაყუდებულ იყოს, იცის მან თქუმული ესე; ხოლო რომელი ჳერეთ ჩჩკლ არს, იგი უმეცარ არს ამას და არა უხილავს გემოამისი.

6. დაყუდებულისა გულისწმისმყოფელისა არა საწმარ არიან სიტყუანი, რამეთუ საქმეთა მიერ სიტყუათათსცა განათლდების.

7. დასაბამი დაყუდებისამ ესე არს, რამთა ივლტოდის წმათა და ამბოხებათამან ერისათა, ვითარცა შემამფოთებელთა გონებისათა. ხოლო დასასრული მისი ესე არს, რამთა არა ეშინოდის, თუმცა ამბოხებათა და წმათა ერისათა შეამფოთეს დაწყნარებამ მისი, არამედ იყოს ყოვლითურთ უფნებელ მათ შინა.

8. რომელი გულისწმის-ყოფით დაეყუდოს, განისწავლოს იგი და იქმნას სახლ სიყუარულისამ, და იყოს იგი ყოვლითურთ ტკბილ და აღუძრველ სიტყუსგებისამ მიმართ და გულისწყრომისამ. ხოლო რომელი არა გულისწმის-ყოფით ჳდეს, ეგევითარი იქმნას მონა გულისწყრომისამ და ამპარტავანებისამ.

9. დაყუდებული იგი არს, რომელმან უწორცოდ იგი და უნივთოდ გონებამ შეანყუდიოს ნივთიერსამ მას სენაკსამ შინამ, საკრველი ესე საქმწ და დიდი.

10. ეძიებნ მარგალიტსამ მეძიებელი მისი, ხოლო მარგალიტსამ მას უხილავსამ – დაყუდებულისამ გონებამ.

11. ნუ შეურაცხად გიჩნ ზემოთქუებული ესე იგავი, თუ არა, ვერ გიცნობიეს ჯერეთ დაყუდება.

12. არა ესრეთ არს მონაზონი მარტოჲ, ვითარ მონაზონი მონაზონსა თანა, რამეთუ მარტოსა დიდი სიფრთხილჳ უჴმს და წარუპარველი გონებაჲ.⁵⁸

13. სხუათა თანა მყოფსა მას მრავალგზის შეენიის მოყუასი, ხოლო მარტოდმყოფსა შეენიის ანგელოზი.

14. საცნაურნი იგი ძალნი ანგელოზთანი შეენევიან და იყოფებიან სულიერსა დაყუდებულსა თანა, ხოლო წინააღმდგომი ამისი დავიდუმო და არლარა გეტყოდე.

15. საღმრთოთა საქმეთა უფსკრული ღრმა არს, ხოლო გონებაჲ დაყუდებულისაჲ იქცევის მას შინა.

16. არა უცთომელ არს სამოსლითა ცურვად, და არა მშკობად არს ვნებულისა ღმრთისმეტყუელებაჲ.

17. სენაკი დაყუდებულისაჲ ზღუდე არს გუამისაჲ, ხოლო გუამი დაყუდებულისაჲ ზღუდე არს გონებისაჲ, და შინაგან აქუს სახლი გულისწმის-ყოფისაჲ.

18. რომელსა აქუნდეს ვნებაჲ და სენი სულიერი და ჴელყოს დაყუდებასა, მსგავს არს კაცსა, რომელმან გარდაიგდის თავი თვისი ნავით გულსა ზღვსასა, და აქუნ ჴელთა მისთა ფიცარი მცირჳ, და ჴნებავენ უშრომელად ქუეყანად განსლვად.

19. რომელნიცა თიჯათა ამათ ჴორცთა ჰბრძვანან, მათეს კეთილ არს თვისსა ჟამსა დაყუდებაჲ, უკუეთუ წინამძღუარიცა ჰყვეს, რამეთუ სრულიად მარტოებასა ანგელოზებრი ძალი ჴამს.

⁵⁸ იტყვს ნეტარი ესე, ვითარმედ მარტოდ-მყოფობად ძნელი საქმე არს, რამეთუ სხუათა თანა მყოფსა უკუეთუ რად წაეკიდოს, აქუს კაცთაგან შენევენაჲ; ხოლო განშორებულსა უჴმს დიდი სიფრთხილე, რადთა არა დაეცეს, არამედ მარადის ღმერთსა ევედრებოდის და შეიკრძალოს თავი თვისი; და მერმე ღმერთმან რაჟამს იხილოს, ვითარმედ ესევითარი არს, მოსცეს მასცა შემწედ ანგელოზი.

20. ჩემი სიტყუად ჭეშმარიტად დაყუდებულთათვის არს, რომელნი დაყუდებულ არიან სულითა და ჳორციითა.

21. დაყუდებული მონყინჳ იტყოდის ტყუილსა და ანუევიდის იგავით კაცთა, რადთამცა გამოიყვანეს იგი დაყუდებისაგან.

22. დაუტევის რად სენაკი თჳსი, მიზეზობნ ეშმაკთა, და არა გულისჳმა-ჳყოფნ, რამეთუ თჳთ იგი ექმნა თავსა თჳსსა ეშმაკ.

23. ვიხილენ დაყუდებულნი, რომელთა მოტყინარე იგი ცეცხლებრ ღმრთისა მიმართ სურვილი მათი დაყუდებისა მიერ აღუსრულებლად აღასრულეს, და ცეცხლითა – ცეცხლი, და ტრფიალებითა – ტრფიალებაჲ, და სურვილითა სურვილი შვეს მათ.

24. დაყუდებული ჭეშმარიტი სახე არს ანგელოზისაჲ ქუეყანასა ზედა, და ქარტითა სურვილისა ღმრთისაჲთა და წერილითა მოსწრაფებისაჲთა ლოცვაჲ მისი განუთავისუფლებიეს ყოვლისავე მცონარებისა და მონყინებისაგან.

25. დაყუდებული იგი არს, რომელი ღაღადებდეს ჭეშმარიტებით, ვითარმედ: „განმზადებულ არს გული ჩემი შენდამი, ღმერთო“ (ფსალმ. 56,8), მარადის.

26. დაყუდებული იგი არს, რომელმან თქუა, ვითარმედ: „მე მძინავს და გული ჩემი მღჳძარე არს“ (ქებ.5,2).*

27. დაჳჳამ, საყუარელო, კარი სენაკისაჲ გუამითა, და კარი ენისაჲ დაუჳამ სიტყუათა, და კარი გულისაჲ დაუჳამ სულთა მათ ბოროტთა.

28. მყუდროებამან ზღჳსამან და სიცხემან მზისამან გამოცადის მოთმინებაჲ მენავისაჲ, და ნაკლულეევანებამან საჳმართამან მოთმინებაჲ დაყუდებულისაჲ გამოაჩინოს.

29. მენავესა მოენყინის რად, ცურავნ წყალთა შინა; და დაყუდებული სულმოკლე იქმნის რად, აღერიის სიმრავლესა.

* ამას სიტყუასა სოლომონ იტყჳს.

30. ნუ გეშინინ უცნებათაგან და ჳმათა, რამეთუ გლოვა-
მან შიში ამაოჲ არა იცის, არცა შეძრწუნდების უცნებათაგან.

31. რომლისა გონებამან ისწავა ჭეშმარიტი ლოცვაჲ, იგი
უფალსა პირის-პირ ეტყჳს, ვითარცა კაცი, რომელი ზრახ-
ავნ მეფესა ყურის-ყურ; და რომელი სიტყვით ოდენ ილოცავს
წორციელად, იგი მსგავს არს კაცსა, რომელი წინაშე ყოველ-
თა მთავართაჲსა შეუვრდებინ მეფესა; ხოლო რომელნი ერ-
ისკაცთა შორის არიან, იგინი მსგავს არიან კაცთა, რომელნი
ამბოხებასა შინა ყოვლისა ერისასა ევედრებოდიან მას.

32. უკუეთუ წელოვნებაჲ ესე კეთილად გისწავიეს, არა
უმეცარ ხარ თქუმულსა ამას.

33. დაჯედ მცველად გულისსიტყუათა შენთა, უკუეთუ
ოდენ იცი ცვაჲ, და ხედვედი კეთილად, და მაშინ სცნა თუ
ვითარ, ანუ ოდეს, ანუ სადაჲთ, ანუ რავედენნი შევლენან საყ-
ურძნესა შენსა პარვად.

34. რაჟამს დაშურე ხედვისაგან და მსტორობისა, აღ-
დეგ და ილოცევედ, და დაჯედ საქმესავე შენსა ახოვნად.

35. ენება ვისმე ფრიად გამოცდილსა ამის პირისათჳს
წულილადრე თქუამად, გარნა შეშინდა – ნუუკუე მუშაკთა-
ცა დაწსნილებაჲ მოატყუას და რომელნი სურვიელ იყვნენ
შესლვად ამას შინა, სიტყუათა მათ ზარითა უკუნაქცინეს.

36. რომელი იტყოდის დაყუდებისათჳს წულილად და
გულისწმის-ყოფით, განრისხნებიან მას ზედა ეშმაკნი, რა-
მეთუ ვერვინ გამოაცხადებს ესრეთ საძაგელებასა მათსა,
ვითარ იგი.

37. რომელი მიწვეწულ არს სრულებასა დაყუდებისასა,
მას უცნობიეს სიღრმეჲ საიდუმლოთაჲ; ხოლო ვერ მიიწვევის
მუნ, უკუეთუ პირველად არა თავს-ისხნეს ღელვათა ამ-
ბოხებანი და სიმძაფრენი ქართანი და კუეთებანი მათნი.

38. დაამტკიცებს თქუმულსა ამას მოციქული პავლე, რა-
მეთუ უკუეთუმცა არა მიტაცებულ იყო დაყუდებით სამო-
თხედ, არამცა ასმიოდა გამოუთქუმელნი სიტყუანი.

39. დაყუდებისა ყურთა ისმინონ ღმრთისა მიერ საკურველნი, რამეთუ იოხსაცა შინა ესე ყოვლადბრძენი დაყუდება იტყოდა, ვითარმედ: „ნუუკუე ყურთა ჩემთა არა შეინყნარონ ღმრთისაგან საკურველება?“ (შდრ. იოხ. 4,12).

40. დაყუდებული იგი არს, რომელი ესრეთ ივლტინ კაცთაგან თვნიერ სიძულილისა, ვითარცა-იგი სულმოკლჳ და მცონარი მიივლტინ კაცთა მიმართ; ხოლო რადთა ამისთვის ივლტოდის, რომელ არა იქმნას მის შორის დახრწევად სიტკბოებისა ღმრთისად.

41. წარვედ, განაბნიე ყოველი მონაგები შენი, რამეთუ განსყიდასა ჟამი უჳმს, არამედ განაბნიე და მიეც გლახაკთა და მონაზონთა, რადთა ლოცვითა შეგენინენ დაყუდებისა მიმართ, და აღიღე ჯუარი შენი მორჩილებისა მიერ ტკრთული, და თავს-იდევ ძლიერად სიმძიმჳ იგი ნებათა მოწყუედისად, და მოვედ და შემომიდეგ მე სანატრელისა დაყუდებისა მიერ, და გასწაო შენ უხილავთა ძალთა ხილულად საქმჳ და მოქალაქობად (შდრ. მათ. 19,21).

42. არა განძლებიან ზეცისანი იგი უკუნიითი-უკუნისამდე გალობად შემოქმედისა, არცა, რომელნი იყვნენ ცასა მას შინა დაყუდებისასა, განძლენ დიდებად დამბადებელისა.

43. არარას ზრუნვენ ჳორციელისათვს უჳორციონი იგი, არცა ზრუნვენ საჳმართათვს ჳორციელნი იგი უჳორციონი.

44. არა აქუს პირველთა მათ გულისთქუმაჲ გემოთა მიმართ, და არცა მეორეთა მათ – საჳმრისა რადსამე მიმართ კაცობრივისა, გინა-თუ განსუენებისათვს ჳორციელისა.

45. არა ზრუნვენ ზეცისანი იგი მონაგებთათვს; არცა ესენი – უკეთურებისათვს და ბრძოლისა ეშმაკთაჲსა.

46. არა არს ზეცისათა მათ თანა სურვილი დაბადებულთა მათ ხილულთაჲ; და არცა ამათ თანა – გულისთქუმაჲ პირებისად.

47. არაოდეს დასცხრენ ზეცისანი იგი წარმართებად სი-

ყუარულსა შინა ღმრთისასა; არცა ესენი დასცხრებიან ბაძვად მათდა.

48. არა უცნაურ არს მათ მიერ სიმდიდრეწ წარმართებისა მათისად; არცა ამათ მიერ – ტრფიალებად ზეცად ამაღლები-სად.

49. არა დასცხრებიან ზეცისანი, ვიდრემდის სერაბინთა მიწინენენ; არცა ესენი, ვიდრემდის ანგელოზ იქმნენ.

50. ნეტარ არს, რომელსა აქუნდეს ამის საზომისა მიწ-თომად სასოებად; სამგზის სანატრელ არს, რომელი მიახლებულ იყოს; ანგელოზ არს, რომელი მიწვევულ იყოს.

დაყუდებათათს თვთოსახეთა

51. ესეცა საცნაურ არს ყოველთა მიერ, ვითარმედ ყოველთავე საქმეთა და ჴელოვნებათა შინა განყოფილებანი არიან ნებათა და განზრახვათა და საზომთანი. რამეთუ არათუ ყოველთა აქუს სრული საზომი, არამედ სხუათა სრული აქუს და სხუათა – უდარესი ანუ უძლურებისაგან მათისა ანუ მცონარებისა, და ამისთვის არიან ამას საქმესაცა შინა განყოფილებანი. რამეთუ რომელნიმე შევლენ ნავთსაყუდელსა მას, და უფროდსად – უფსკრულსა უძლურებისათს ჴორცთა და პირთა მათთადასა და მძლავრებისათს ჩუეულებათადასა, რადთამცა მოწყდნეს იგინი; და სხუანი, რამეთუ მრისხანენი იყვნეს და ერსა შორის გულისწყრომასა ვერ სძლევდეს უბადრუკნი; და სხუათა თვთრჩულობისათს მათისა და ზუაობისა ინებეს შესლვაჲ ამას ზღუასა; და სხუანი ამისთვის შევიდეს ამას შინა, რამეთუ ვერ ეძლო ნივთთა შორის ყოფითა ნივთთაგან განყენებად; და სხუანი ამისთვის, რადთა მოსწრაფებაჲ მოიგონ მარტოებითა; და სხუათა ამისთვის აღირჩიეს ესე, რადთა ფარულად ტანჯნენ თავნი თვისნი ცოდვათათს; და სხუანი ამისთვის შევიდეს ამას შინა, რადთა დიდებაჲ მოატყუან თავთა თვისთა კაცთაგან. ხოლო

არიან სხუანი (უკუეთუ ოდენ მოვიდეს რად ძჷ კაცისად ქუე-
ყანასა ზედა და იპოვნენ ესევეითარნი), რომელნი სურვილ-
ისათჳს და წყურილისა სიყუარულისა ღმრთისა შეეყვნეს
ამას სანატრელსა, რაჟამს-იგი, პირველ შესღვისა მას შინა,
მისცეს ყოველსავე გულისსიტყუასა მოწყინებისასა ჴელით-
წერილი განშორებისად, რამეთუ მოწყინებასა თანა ყოფად
პირველისა მისგან განშორებად არს.

52. სიბრძნისა ამისებრ მცირედისა, რომელი მომეცა, ვი-
თარცა უმეცარმან ხუროთმოძღუარმან, კიბჷ გამოვთალე,
ხოლო ან თითოეული ხედვიდინ, თუ რომელსა ხარისხსა არს
კიბისა მის დაყუდებულთაჲსა.

53. პირველი კიბე არს თვთრჩულობისათჳს; მეორჷ
– დიდებისათჳს კაცთასა; მესამჷ – უძღურებისაგან ენი-
სა; მეოთხჷ – სივლტოლისათჳს ნივთთაჲსა; მეხუთჷ –
მძღავრებისათჳს გულისწყრომისა; მეექუსჷ – რადთა თავნი
თჳსნი ტანჯნენ; მეშვიდჷ – რადთა მოსწრაფებად მოიგონ;
მერვჷ – რადთა ცეცხლსა ზედა ცეცხლი შესძინონ.

54. შუდნი იგი კიბენი საქმენი არიან შუდეულისა ამის
საწუთროდსანი, რომელნიმე კეთილ და რომელნიმე – ხენეშ;
ხოლო მერვე – მერმისა მის საუკუნოდსა მომასწავებელ არს.

55. უმზირდი, ჳ, მონაზონო მარტოდმყოფო, ჟამსა მჴეც-
თა მოსღვისასა, თუ არა, ვერ უძლო მახისა კეთილად დადგ-
მად.

56. უკუეთუ წარვიდა, რომელმან-იგი მიიღო ჴელით-
წერილი განშორებისად, ნამეტნავ არს ჴელთსაქმარი; უკუ-
ეთუ კულა ჯერეთ არა განყენებულ არს იგი, არა უწყი, თუ
ვითარ დავეყუდო.

57. რადსათჳს არა გამოჩნდეს წმიდათა მათ ტაბენსელ-
თაგან ეგოდენნი მნათობნი, ვითარ-იგი გამოჩნდეს სკიტელ-
თაგან? რომელი გულისჴმა-ყოფს, გულისჴმა-ყავნ, რამეთუ
მე თქუმად არა ძალ-მიც, და უფროდსა არა მნებაჳს.

58. რომელნიმე ვნებათა ბრძოლითა და წინააღდგომითა,

და რომელნიმე – გალობითა, და უმეტესსა ჟამსა ფსალმუნე-
ბასა შინა ყოფითა, და რომელნიმე – ლოცვასა შინა დგომი-
თა, და სხუანი – ხედვასა შინა ყოფითა გარდაიწდიან ჟამთა
მათთა. ამათ სახეთაებრ გამოიძიეთ ზემოთქუმიულიცა, და
რომელი გულისწმა-ჰყოფს უფლისა მიერ, გულისწმა-ყავნ.

59. არიან სულნი უდებნი, რომელნი შევიდეს რად კრე-
ბულსა მონასტრისასა და პოეს ფართოებით ჭამადი თანა-
შემწედ დაწსნილობისა მათისა და სრულიად წარსაწყმედე-
ლად მოვიდეს. და არიან სხუანი, რომელთა თქსი დაწსნილო-
ბად სხუათა თანა ყოფითა აღიძარცუეს. და არა-თუ ოდენ
უდებთა ზედა, არამედ მოსწრაფეთაცა ზედა მრავალგზის
ესრეთვე იქმნა.

60. ამასვე კანონსა დაყუდებისათსცა ვიტყვოთ, ვითარ-
მედ მრავალნი გამოცდილნი შეინწყნარნა და გამოუცდელ-
ყვნა და თვთრჩულობისა მიერ გამოაჩინა გემოთმოყუარებად
მათი, და სხუანი მიიხუნა და შიშითა და ზრუნვითა თქსთა
საშჯელთა ტვრთსადათა მოსწრაფე და მჭურვალე ყვნა.

61. ნუმცა ვინ ძლეული გულისწყრომისაგან და სიმაღ-
ლისა, ორგულებისა და ძვრისწსენებისა ეძიებს ხილვად კუ-
ალსა დაყუდებისასა, ნუჟუკუე გონებაცთომილებად ოდენ
შეიძინოს. ხოლო რომელი ამათგან წმიდა არს, მან თვთ ცნას
უმჯობესი, და ვჰგონებ, თუ ყოველივე ვერცა მან.

62. რომელნი ჯერისაებრ აღასრულებენ დაყუდებასა,
სასწაულნი მათნი ესე არიან: გონებად დაუძინებელი, გული
წმიდად, აღტაცებად უფლისა მიმართ, წინაშე თუალთა ქონე-
ბად საშჯელისად, წსენებად სიკუდილისად, განუძლომელობად
ლოცვისად, დაცვად წარუპარველი, მოკუდინებად სიძვისად,
უცნაურებად ცუდისა სიყუარულისად, სიკუდილი სოფლი-
საგან, სიძულილი ნაყროვანებისად, მიზეზი ღმრთისმეტ-
ყუელებისად, წყაროდ გულისწმის-ყოფისად, ცრემლი სამა-
რადისოდ, წარწყმედად მრავალმეტყუელებისად და სხუად
მსგავსი ამათი, რომელთა სიმრავლწ წინააღუდგების-რე;

ხოლო რომელნი არა ჯერისაებრ აღასრულებენ მას, ესე არს სიგლახაკისა მათისა სახე: აღორძინებად გულისწყრომისად, დაუნჯებად ძკრის-წსენებისად, სიყუარულისა განქარვეებად, სიმაღლისა შემატებად, და შემდგომი ამისი დავიდუმო.⁵⁹

63. ვინაფთგან მოინია სიტყუად ესევითარისათჳს, კეთილ არს, რადთა მორჩილთათჳსცა ჭეშმარიტთა ვთქუათ, თუ რად არიან სახენი მათნი და სასნაულნი, რამეთუ უფროდსად მათდა მიმართ არს სიტყუად.

64. რომელნი რჩულიერად და კეთილად და ჯეროვნად იყვნენ მორჩილებასა შინა, სასნაულნი მათნი ესე არიან სიტყუსაებრ წმიდათა მამათაფსა: სიმდაბლისა მის ახალთაფსა დღითი-დღე აღორძინებად, გულისწყრომისა მოუძღურებად, სიბნელისა უჩინო-ყოფად, ვნებათა განწსნად, სიძულელისაგან განთავისუფლებად, მხილებათაგან და კდემათა გულისთქუმისა აღწოცად, მოწყინებისა უმეცრებად, მოსწრაფებისა განმრავლებად, სიყუარული წყალობისად, უცხოებად ამპარტავანებისაგან, რომელი-ესე ყოველთა მიერ საძიებელ არს და მცირედთა მიერ იპოების.

65. რაჟამს წყალი არა იყოს წყაროსა შინა, სახელი ამოო არს, და შემდგომი ამისი გულისწმა-უყოფიეს გონიერთა.

66. სულმან, რომელმან არა დაიმარხოს აღთქუმად, რომელი ექმნა უფლისა მიმართ, მან შეაგინოს თავი თჳსი, და ესე საქმენი შეუდგენ მას: ბილწებანი, დავიწყებად სიკუდილისად, უძღებობად მუცლისად, ვერ დამჭირვად თუალთად, მუშაკობად მზუაობრობისად, განუძღომელობად ძილისად, გულფიცხელობად, უღმობელობად, საუნჯე გულისსიტყუათა ბოროტთად, განმრავლებად ვნებათად, ტყუეობად გულისად, სიმრავლე შფოთისად, ურჩებად, მაცვილობობად,

⁵⁹ „შემდგომი ამათი“, ვითარ მე ვჰგონებ, არს დაცემაჲ ჳორციელსა ცოდვასა შინა, ანუ წარწყმედაჲ გონებისად და განცოფებაჲ, რამეთუ ესენი არიან ამპარტავანებისა ნაშობნი, ვითარ იგი გამოხადცა.

სიყუარული ცუდი, ურწმუნოებად, უჯეროებად, მრავალმეტყუელებად, კადნიერებად – ყოველთა უბოროტესი და ყოველთა უძკრესი, გულფიცხელობად, რომელსა შეუთქს უშიშობად ღმრთისად, რომელი-ესე დედად არს ყოველთავე დაცემათა და ვნებათად.

67. დაყუდებულთა ხუთნი ჰბრძვანან რვათაგან, ხოლო მორჩილებასა შინა მყოფთა – სამნი.⁶⁰

68. დაყუდებულსა, რომელსა ჰმძლავრობდეს მონყინებად, დიდად დაშჭირდეს, რამეთუ ჟამნი ლოცვისა და ხედვისანი წარაგნეს მისსა ბრძოლასა შინა.

69. მომენყინა ოდესმე სენაკსა შინა ჩემსა ყოფად და სულმოკლე ვიქმენ, ვიდრელა მენება დატევებად მისი. და ვითარ მენება მიერ გამოსლვად, მოვიდეს კაცნი ვინმე და ვითარცა დაყუდებულსა მნატრიდეს, და მეყსეულად წარიდენა გულისსიტიყუად იგი მონყინებისად ცუდადმზუაობრობისა მიერ, და დამიკვრდა, თუ ვითარ ყოველთავე ეშმაკთა სძლევს კუროდსთავის მსგავსი იგი ზუაობისა ეშმაკი.

70. დაიდევ გონებასა შენსა ყოველსა ჟამსა განცდად სასწორისა შენისა, თუ ვინაჲ მიდრკების, და მოქცევისა ჟამსა და კუალად მიდრეკისა ჟამსა და განსწორებასა. და იხილე, თუ ვიდრე და ვინაჲ უფრო იყვის მიდრეკილობად და ძლევად; ხოლო რომელსა მოეგოს სულისა წმიდისა მიერ მყუდროებად, იცის მან თქუმული ესე.

71. საქმწ დაყუდებისად ყოვლისა პირველად არს უზრუნველობად საქმეთა ჯეროვანთაცა და უჯეროთად, რამეთუ რომელი პირველთა მათ განუღებდეს კარსა, უეჭუელად მეორეთა მიერ შეპყრობილ იქმნას. ხოლო მეორე საქმწ დაყუდებისად – ლოცვად განშორებული ყოვლისაგან უღებებისა; და მესამედ – ხედვად გულისად წარუპარველი.

⁶⁰ დაყუდებულთა ჰბრძვანან ვეცხლისმოყუარებად, მონყინებად, მწუხარებად, რისხვად და ამპარტავანებად, ხოლო კრებულსა შინა მყოფთა – ნაყროვანებად, სიძვად და ზუაობად.

72. ვითარცა შეუძლებელ არს, რადთამცა რომელსა არა ესწავა შეტყუებად ასოთად, და იგიმცა იკითხვიდა წიგნთა, ეგრეთვე შეუძლებელ არს, რადთამცა რომელთა პირველი იგი არა მოეგო, შემდგომთა ამათ ორთამცა იქმოდეს ჯეროვნად.

73. ვიყავ რად საშუალსა შინა, საშუალთა თანა მივიწიე, და განმანათლებდეს წყურიელსა. და აჰა ესერა, მათვე შორის ვიყავ, და თუ რად იყო – პირველ ხილულისა მის ფერისა მისისა, სწავლად ვერ ეძლო, რამეთუ არცა სუროდა მთავარსა მას. ხოლო თუ ან ვითარ არს, ვკითხვედი ცნობად, და მეტყოდა, ვითარმედ: „თვსთა შინა არს, არამედ არა ამათ შინა“. ხოლო მე ვიტყოდე, ვითარმედ: „რად არს მარჯულ დგომად და ჯდომად მიზეზისად მის?“ და იტყოდა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს ამისი სასმენელთა მიმართ თქუმა“. ხოლო მე, რომლისა მიმართ მსუროდა ვკითხე რად, იტყოდა იგი, ვითარმედ: „არღა მონევენულ არს ჟამი სმენად ესევეთარისა ნაკლულევანებისათვს ცეცხლისა მის უხრწნელებისა“. ესე გინა-თუ მიწასა ამას თანა იყო, არა ვიცი, გინა-თუ თვნიერ მისა, ყოვლადვე უმეცარ ვარ.⁶¹

⁶¹ „საშუალად“ ლოცვასა იტყვს, რამეთუ საშუალი არს იგი დაყუდებისა და საღმრთოფსა ხედვისა. და იტყვს ნეტარი ესე მამად იოვანე, ვითარმედ: „საშუალსა შინა რად ვიყავ“ – რომელ არს ლოცვა. „საშუალთა თანა მივიწიე“ – რომელ არიან ანგელოზნი, რამეთუ საშუალნი არიან იგინი ღმრთისა და კაცთა. „და განანათლებდეს წყურიელსაო“, ესე იგი არს, ვითარმედ რომელთაცა საქმეთა ცნობად მწყუროდა და მსუროდა, განმანათლებდეს გამოცხადებითა მათითა. „ვკითხე უკუე, თუ ვითარ იყო პირველ ხილულისა მისისა ფერისა“, ესე იგი არს, ვითარმედ: პირველ განკაცებისა ვითარითა სახითა იყო ქრისტე? ხოლო ამის საქმისა იგიცა ანგელოზი, რომელი მეტყოდა, ვერ შეძლებელ იყო თხრობად, რამეთუ სახე ღმრთაებისად არცა-თუ ანგელოზთა იციან. „არამედ არცა მთავარსა სუროდაო“: ამას იტყვს, ვითარმედ დაღაცათუ ვკითხე, არამედ არავე უნდა მთავარსა, რომელ არს

74. მძიმე არს განგდებად ძილისა მის შუადღისასა, და უფროდსად ზაფხულისა დღეთა, და მაშინ ოდენ კეთილ არს წყლთსაქმარი.

75. ვიხილე ეშმაკი მოწყინებისად, რამეთუ უსწრობს და წინაურბის ეშმაკსა სიძვისასა, რადთამცა დაჰწსნნა ჯორცნი და დაანთქნა ძილითა, და ესრეთ ბილწებანი მოაწინა და-ყუდებულთა ზედა.

გონებად, ცნობად ესევეითარისა საქმისა. ხოლო იტყვს, ვითარმედ: „და ან ვითარ არს?“ ესე იგი არს, ვითარმედ, რაჟამს პირველი იგი კითხვად ვერ ამიწსნა, მერმე ვკითხე, ვითარმედ: „ან ვითარ არს ქრისტე?“ ხოლო მან მრქუა, ვითარმედ: „თვსთა შინა არს“, ესე იგი არს, ვითარმედ ორითა მით ბუნებითა – ღმერთი სრული და კაცი სრული. „არამედ არა ამათ შინაო“, ესე იგი არს, ვითარმედ არა ამათ ესევეითართა მოკუდავთა და განხრწნადთა ჯორცთა შინა არს, ვითარ პირველ ჯუარცუმისა იყო, ვითარცა იტყვს პავლე მოციქული, ვითარმედ: „დალაცათუ ვიცოდეთ ქრისტე ჯორციელად“, ვითარმედ ჭამდა და სუმიდა, „გარნა არღარა ესრეთ უწყით“ (2 კორ. 5,16), ესე იგი არს, ვითარმედ დალაცათუ პირველ განხრწნადნი და ზრქელნი ჯორცნი ემოსნეს, არამედ ან არღარა ეგრეთ არს, რამეთუ ჯორცნი, რომელნი ან უფალსა ჰქონან, უხრწნელ არიან.

კუალად უკუე იტყვს ნეტარი ესე, ვითარმედ: „ვკითხევედ, თუ რად არს მარჯუენით დგომად და ჯდომად მიზეზისად?“ ესე იგი არს, ვითარმედ ვკითხეო, თუ: „ვითარ მახარებელი იტყვს უფლისათვს, თუ ‘დაჯდა მარჯუენით ღმრთისა’ (მარკ. 16,19), ხოლო სტეფანე მდგომარე იხილა იგი მარჯუენით ძლიერებისა (იხ. საქმე 7,55)?“ და თქუა ანგელოზმანო, თუ: „არცა ამისა გამოცხადებისა ჟამი მოწევენულ არს ნაკულევენებისათვს ცეცხლისა მის უხრწნელებისა“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ამისთვს, რამეთუ ჯერეთ მოკუდავთა ჯორცთა შინა ხარ და არღა მიწევენულ ხარ უხრწნელებასა“.

ესე ყოველი იხილა მამამან იოვანე, და იტყვს, ვითარმედ: „გინა-თუ მიწისა ჯორცითა ამით ვიხილე, გინა-თუ ხორცთაგან აღტაცებულ ვიქმენ და ეგრე ვიხილე, არა უწყი, ღმერთმან უწყის“ (შდრ. 2 კორ. 12,2).

76. უკუეთუ წინააღმდეგე მათ ძლიერად, გბრძოდინ შენ ფიცხლად, რადთამცა სთქუ: „არარად სარგებელ-მეყოფის“, და ესრეთმცა დასცხერ მოლუანებისაგან. გარნა მჴნე იყავ, რამეთუ არარად ესრეთ გამოაჩინებს ეშმაკთა ძლეულებასა, ვითარ მათმიერნი ჩუენდა მომართ ბრძოლანი.

77. ჟამსა სენაკით შენით განსლვისასა დაიცევ ძლიერად სენაკსა შინა შეკრებული, რამეთუ რაჟამს კარი განელოს, შეყენებულნი იგი მფრინველნი მსწრაფლ ივლტოდინ, და სარგებელი დაყუდებისად უჩინო იქმნას.

78. თმად მცირჴ შეამრლუევს თუალსა, და ზრუნვად მცირჴ განჴრყუნის დაყუდებასა. რამეთუ დაყუდებად შემოკრებად არს გონებისად და განშორებად ჯეროვანთაცა ზრუნვათა და საურავათად.

79. რომელსა მოუპოვებებს ჭეშმარიტი დაყუდებად, ეგვეითარი არცა ჳორცთა თვსთათვს ზრუნავს, რამეთუ უტყუელ არს, რომელმან-იგი აღგკთქუა.

80. რომელსა ენებოს გონებისა თვსისა წმიდად წარდგინებად წინაშე უფლისა და განამრავლებდეს ზრუნვათა, მსგავს არს კაცსა, რომელმან შეიკრნის ფერჴნი თვსნი მაგრიად და ენების მალიად სირბილი.

81. იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ ძნელ არს ყოვლისავე საფილაფოზოხსა სწავლისა დასწავლად და მცირედნი იპოებიან. ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ ფრიად უძნელეს არს და მცირედნი იპოებიან ფრიად, რომელთა იციან სიბრძნჴ იგი დაყუდებისად.

82. რომელსა ღმერთი არა ეცნას ვითარცა ჯერ არს, იგი დაყუდებასა შინა გამოუცდეღ არს სრულიად, და მრავალნი ღელვანი მოინინენ მის ზედა.

83. დაყუდებად გამოუცდეღლთა აჭირვებს, რამეთუ, ვინადთგან გემოდ სიტკბოებისა ღმრთისად არა ეხილვის, მონყინებითა და წარტყუენვითა და თითოსახითა გულისსიტყვთა გარდაიჴადნის ჟამნი თვსნი.

84. რომელსა ეხილოს სიკეთს იგი ლოცვისად, იელტოდის სიმრავლისაგან, ვითარცა კანჯარი, რამეთუ ვინ განკურნა სხუამან განველურებული იგი კანჯარი, გარნა ლოცვამან.⁶²

85. რომლისადა ვნებანი უფლებულ იყვნენ, იგი მათითა წურთითა იყოფების უდაბნოსა შინა, ვითარცა მითხრობდა ბერი წმიდად – გიორგის ვიტყვ არსელაელსა, რომელსა შენიცა პატიოსნებად არა უმეცარ არს. იგი ასწავლიდა გლახაკსა ამას სულსა ჩემსა დაყუდებისათს და იტყოდა, ვითარმედ: „დავიდევ გონებასა ჩემსა განცდად, და ვიხილენ განთიად მზუაობრობისა და გულისთქუმისა ეშმაკნი მომავალად, და შუადღე – მოწყინებისა და მწუხარებისა და მრისხანებისა, ხოლო მწუხრსა მოიწინიან სკორისმოყუარენი იგი ნაყოფანებისა ეშმაკნი“.

86. უმჯობეს არს მოწაფს გლახაკი დაყუდებულსა, ზრუნვათა შინა მყოფსა.

87. რომელი დაყუდებულ იყოს და დღითი-დღე არა გულისწმა-ჰყოფდეს სარგებელსა, უწყოდე, ვითარმედ ანუ არა იქმს საქმეთა დაყუდებისათა, ანუ წარიტყუენვის ამპარტავანებისაგან.

88. დაყუდებად არს მოუწყუედელად წინაშე ღმრთისა დგომად და მსახურებად მისი.

89. წსენებად უფლისა იესუესი ეგრეთ დაადგერინ შენ თანა, ვითარცა ფშვნვად შენი, და მაშინ სცნა სარგებელი დაყუდებისად.

90. დაცემად მოწფისად თუსი ნებად არს, და დაყუდებულისად – ლოცვისა დახრწევად.

91. უკუეთუ გიხაროდის სტუმართა მოსლვისათს, უწყოდე, ვითარმედ მოწყინებისადა შეყოფილ ხარ და არა ღმრთისადა.

⁶² რამეთუ ლოცვად დანიელისი შეეხო ნაბუქოდონოსორს და განკურნა იგი, რომელი ვითარცა კანჯარი, ველურ-ქმნილ იყო, და ამისთს იტყვს ამას ნეტარი ესე.

92. სახედ ლოცვისა გაქუნდინ ქურივი იგი ჭირვეული მოსაჯულისაგან მისისა, ხოლო სახე დაყუდებისა არს დიდი იგი ანგელოზთასწორი დაყუდებული არსენი.

93. ივსენებდ, ზ, მარტოდმყოფო, ანგელოზისა ამის დაყუდებულისა საქმესა, და იხილე, რამეთუ მრავალგზის მისდა მოსრულნიცა გარემიაქცინის, რადთა არა უაღრესი წარწყმიდოს.

94. ვიხილენ ეშმაკნი, რომელნი ჯერისაებრ დაყუდებულთა თანა მიავლენედ მიმომავალთა და უდებთა მონაზონთა, რადთამცა მუშაკნი იგი სათნოებისანი ამით სახითა მცირედ რადმე დააბრკოლნეს.

95. დაისწავენ ესევითარნი, ზ, ჭეშმარიტო დაყუდებულო, და ნუ ჰირიდებ შენუხებად ღმრთისმოშიშებით, ნუუკუე ჰრცხუნენს და დასცხრენ მიმოსლვისაგან.

96. ეკრძალე, ნუუკუე ზემოთქუმულისა ამის სახისათჳს შეანუხო სული ამაოდ, რომელი მოვიდოდის შენდა წყურელი აღმოვსებად წყლისა, გარნა ყოველსავე შინა სანთელი იგი გულისწმის-ყოფისაჲ საჭმარ არს შენდა.

97. ცხორებაჲ დაყუდებულთაჲ და უფროჲსლა ყოველთავე მონაზონთაჲ გულისწმის-ყოფით და სჯინდისისა წამებითა იყავნ.

98. რომელი წესიერად იყოფებოდის, მან ყოველნივე საქმენი თჳსნი და სიტყუანი და გულისზრახვანი და სლვანი და აღძრვანი ნებისაებრ უფლისა ქმნენს, და უფლისათჳს, გულისწმის-ყოფითა სულისაჲთა და ხედვითა პირისა უფლისაჲთა. უკუეთუ კულა სცთებოდის, არა-სადმე წესისაებრ იყოფების.

99. იტყვს წინაღსწარმეტყუელი, ვითარმედ: „აღვალო იგავით პირი ჩემი“ (ფსალმ. 77,2), ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ: მიუპყრა ნებაჲ ჩემი ლოცვისა მიერ უფალსა და მისგან მოვილო გულსავსებაჲ.

100. სარწმუნოებაჲ ფრთე არს ლოცვისაჲ, რამეთუ უკუეთუ იგი არა აქუნდეს, კულაჲდ წიაღადვე ჩუენდა მოიქცეს.

101. სარწმუნოებად არს დგომად სულისაჲ შეუორგულე-ბელად, და რაჲთა არცა ერთისა წინააღმდგომისა ქარისაგან შეირყეოდის.

102. მორწმუნვ არა-თუ იგი არს, რომელსა ჰრწმენეს, თუ ღმერთსა ესე ძალ-უც, არამედ რომელსა ჰრწმენეს, თუ უეჭუელად მომეცეს თხოად ჩემი.

103. სარწმუნოებად მომატყუებელ არს უსასოთა საქმე-თაჲ, და ესე ავაზაკმან გამოაჩინა.

104. დედაჲ სარწმუნოებისაჲ არს მოსწრაფებაჲ და გული წრფელი, რამეთუ ერთი იგი შეუორგულეებელ-ჰყოფს, ხოლო მეორვ – აღასრულებს საქმით თხოასა.

105. დაყუდებულთა დედაჲ სარწმუნოებაჲ არს, რამეთუ უკუეთუ არა ჰრწმენეს, ვითარ დაეყუდოს კეთილად?

106. რომელი დილეგსა შინა შეკრულ არნ, შიშისაგან მსა-ჯულისა ძრწინ, ხოლო რომელი სენაკსა შინა დაყუდებულ იყოს, იგი შიშისაგან უფლისა განილევის.

107. არა ესრეთ ეშინის პირველსა მას სამშჯავროდსაგან, ვითარ მეორესა მას – ქრისტეს საშჯელისაგან.

108. შიში უფლისაჲ ძლიერად მოიგე დაყუდებასა შინა, ზ, საყუარელო, რამეთუ ვერარად ესრეთ განსდევნის მოწყინე-ბასა, ვითარ იგი.

109. ხედავენ დაშჯილი საპყრობილესა შინა, თუ ოდეს მოვიდეს მსაჯული, ხოლო ჭემმარიტი დაყუდებული – თუ ოდეს მოვიდეს სიკუდილი.

110. შეკრულ არს პირველი იგი მწუხარებითა, და მეორვ იგი – წყაროდთა ცრემლთაჲთა.

111. უკუეთუ მოიგო მოთმინებისა კუერთხი, განგემორ-ნენ შენ მოწყინებისა ძალწნი.

112. მოთმინებაჲ ძარღვ არს და ძალი სულისაჲ, რომელი ჭირთა და ბრძოლათაგან არა დაეცემის.

113. მოთმინვ მუშაკი არს დაუცემელი, და თუ დაეცეს, დაცემითაცა სძლიოს.

114. მოთმინებად მოლოდებად არს მარადლე განსაცდელ-
თად.

115. მოთმინებად მომწყუედელი არს მიზეზთად და კრძალ-
ვად თავისა თვისისად.

116. ვითარცა საჭიროდ უვმს ბუნებასა ამას საზრდელი,
ეგრეთვე დაყუედებულსა – მოთმინებად.

117. მეორვ ესე მიზეზი არს გკრგკნოსნობისა, ხოლო
პირველი მრავალგზის იქმნის მიზეზ ვნებათა.

118. მონაზონი პირველ დაფლვისა მომკუედარ არს და
საფლავი მისი არს სენაკი მისი.

119. მოთმინებად შვის სასოებამან და გლოვამან, რამეთუ
რომელი ამათ ორთაგან კიდე არს, იგი მონად არს მოწყი-
ნებისად.

120. უწყებად ჯერ არს ქრისტეს მვედრისად, თუ რო-
მელთა მტერთად შორით უვმს ოტებად, ანუ რომელთა მო-
შუებად და ველის-ველ ბრძოლად.

121. ოდესმე ბრძოლამან გკრგკნი მოატყკს, და ოდესმე
ბრძოლისაგან ჯმნამან გამოუცდელ-ყვის კაცი.

122. სიტყვთ ამათ წესთა სწავლად არა იქმნების, რამეთუ
არა-თუ ყოველნი ერთსა ზედა ვართ, ანუ სწორად გუაქუს
ბრძოლად.

123. ერთსა ვნებათაგან უმზირდი მარადის, რამეთუ იგი
დაუცხრომელად გბრძავს შენ დგომასა შინა და სლვასა, და
ჯდომასა და წოლასა, და ლოცვასა და ძილსა.⁶³

124. არა-თუ ყოველნივე დაყუედებასა შინა მყოფნი
ერთითა გულისსიტყვთა სხენან, რამეთუ რომელთამე
ესე აქუს საწურთელად, ვითარმედ: „წინადსწარ ვხედევდ
უფალსა წინამე ჩემსა მარადის“ (ფსალმ. 15,8); და სხუათა
ესე აქუს, ვითარმედ: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ
სულნი თქუენნი“ (ლუკ. 21,19); და სხუანი ამას ინურთიან,

⁶³ სიძვისა ეშმაკსა იტყკს.

ვითარმედ: „იღუპებდით და ილოცევდით“ (მათ. 26,41); და სხუანი ამას იგონებენ, ვითარმედ: „განმზადენ საქმენი შენნი დღისა მისთვის სიკუდილისა“ (იგავ. 24,27); და სხუანი იგონებენ, ვითარმედ: „დავმდაბლდი და მაცხოვნა მე უფალმან“ (ფსალმ. 114,6); და სხუანი იწურთიან, ვითარმედ: „არა ღირს არიან ვნებანი ესე ამის ჟამისანი მერმისა მისთვის დიდებისა“ (რომ. 8,18); და სხუანი იგონებენ სიტყუასა მას, ვითარმედ: „ნუუკუე წარ-სადამე-გიტაცნეს, და არავინ იყოს მჯსნელ თქუენდა“ (ფსალმ. 49,22); ესე ყოველნივე რბიან, ხოლო ამათგანი ერთი მიიღებს უშრომელად გვრგვსა.⁶⁴

125. რომელი სისრულისა მიმართ ვიდოდის კეთილად, იგი არა-თუ ოდენ რაჟამს ეღუძოს, არამედ ძილსაცა შინა იქმს თვსსა საქმესა. ამისთვისცა ვიეთნიმე ძილსაცა შინა ეშმაკთა ჰბრძვანან და სძლევენ.

126. ნუ მოელი, ნუცა წინაგანემზადები მოსლვისათვს სტუმართასა, რამეთუ წესი დაყუდებისა მარტივი და წრფელი არს.

127. ვერვინ შემძლებელ არს აღშენებად გოდოლსა მას დაყუდებისასა, უკუეთუ არა პირველად დაჯდეს და აღრაცხოს, უკუეთუ ჰქონან ნივთნი აღმაშენებელნი მისნი; ნუუკუე შემდგომად საფუძვლისა დადებისა იქმნას საცინელ მტერთა მისთა და დამაბრკოლებელ სხუათა მუშაკთა, მოქმედთა კეთილისათა.

128. გულისჯმა-ყავ კეთილად მომავალი შენდა ჟამსა დაყუდებისასა სიტკბოებად, ნუუკუე მკურნალთაგან მწარეთა, და უფროდსლა მტერთაგან მკლველთა იყოს.

129. ღამით უმეტესი ჟამი ლოცვასა მიეც და მცირედი

⁶⁴ რომელი მოიგებს ამათ შკდთა საზომთაგანი გვრგვსა? რომელნიმე იტყვან თუ პირველიო, რომელიცა ხედავს უფალსა წინადსწარ, ხოლო მე ვიტყვ, თუ მეხუთე მიიღებს, რომელი იტყვს, ვითარმედ: „დავმდაბლდი და მაცხოვნა მე უფალმან“.

– ფსალმუნებასა, ხოლო დღისი კუალად ძალისა შენისაებრ განაგებდი.

130. წიგნისკითხვად არა მცირედ შეჰკრებს და განანათლებს გონებასა, რამეთუ სიტყუანი არიან სულისა წმიდისანი და მკითხველთა მათთა განამტკიცებენ.

131. სათნოებათა და ვნებათათჳს თქუმულთა წიგნთა იკითხვედი, და ყოველი, რავდენი ცხორებასა შენსა ასწავლის, რადთა კეთილად შემოკრბეს გონებად შენი.

132. შრომათაგან ეძიებდ პოვნად სიტყუათა მათ ცხორებისათა უფროდსლა, ვიდრე წიგნთაგან.

133. გონებაცთომილთა⁶⁵ მათ თქუმულთა და სიტყუათა პირველ დიდისა სისრულისა ნუ იკითხავ, რამეთუ ბნელისა სიტყუანი არიან იგინი და უძლურთა დააბნელებენ.

134. სასუმლითა ერთითა იცნობების გემოდ ღვნისად, და ერთითა სიტყუთა საცნაურ იქმნების მეცნიერთა მიერ მოძღუართა დაყუდებულისა ყოველივე შინაგანი საქმჳ.

135. ებრძოლე ყოვლითა ძალითა შენითა ზუაობასა, რამეთუ არარად არს მისსა უძკრესად წარმპარველ გონებისა.

136. ეკრძალე ენასა შენსა, გან-რად-ხვდე სენაკით შენით, რამეთუ მსწრაფლ განაბნინის მან შრომანი მრავალნი.

137. მარტივი მოიგე ცხორებად, რამეთუ შეაგინებს დაყუდებასა გულარძნილებად.

138. რომელნი მოვიდენ შენდა, დაუგე მათ, რომელიცა ჯერ იყოს – ჳორციელი, გინა-თუ სულიერი.

139. უკუეთუ უბრძენეს ჩუენსა იყვნენ, დუმლით ვაჩუენოთ სიბრძნჳ, უკუეთუ კულა სწორნი იყვნენ, ზომით კარნი განვალთ. გარნა კეთილ არს, რადთა ყოველნივე უალრეს ჩუენსა შეგუერაცხნენ.

140. ძალი მეფისად არს სიმრავლჳ ერისად და საფასეთად, და ძალი დაყუდებულთად – ლოცვად ფრიადი.

⁶⁵ „გონებაცთომილად“ მწვალეებელთა წიგნებსა იტყვს.

141. ვითარცა სიტყვით წინააღმდეგომ არიან აღსარებად წმიდისა და დაუბადებელისა და თაყუანისსაცემელისა სამებისა, და კუალად ჯორციელისა განგებულებისა ერთისა მის წმიდისავე სამებისა (რამეთუ რომელი მუნ განყოფილად ითქუმის, აქა ერთად ითქუმის, და რომელი მუნ ერთად ითქუმის, აქა განყოფილად, რამეთუ მუნ ვიტყვით სამთა გუამთა და ერთსა ბუნებასა, და აქა – ერთსა გუამსა და ორთა ბუნებათა), ეგრეთვე უკუე – სხუანი საქმენი არიან დაყუდებისანი და სხუანი – მორჩილებისანი.

142. წმიდად წინააღმდეგობით და წმიდად მოციქული იტყვან, ვითარმედ: „ვინ ცნა გონებად უფლისა?“ (ეს. 40,13; რომ. 11,34); ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ: ვინ ცნა გონებად კაცისა ქვემარტად ჯორციითა და სულითა დაყუდებულისა დალითა უფლისადათა? რომლისა არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ყოვლადწმიდისა მის და სათნოებათა დედისა
ლოცვისათეს და მას შინა გუამითაცა და გონებითა
კეთილად დგომისა

თავი 28

1. ლოცვად ბუნებით შეერთება არს ღმრთისა და კაცისა, ხოლო საქმით – სიმტკიცე არს სოფლისა და დაგება ღმრთისა, დედა ცრემლთა და მერმე – შვილი მათი, მომტევებელი ცოდვათა; ჯიდი განსაცდელთა და შუაკედელი ჭირთა, შემმუსრველი ბრძოლათა; საქმე ანგელოზთა და საზრდელი უწორცოთა მათ ძალთა; სიხარული მერმისა მის საუკუნოვანსა, საქმე დაუსრულებელი, წყარო სათნოებათა; წინამძღუარი მადლთა, წარმატება უხილავი, საზრდელი სულისა; სინათლე გონებისა, მკლველი სასონარკუეთილებისა, მიზეზი სასოებისა; დამწსნელი მწუხარებისა, სიმდიდრე მონაზონთა, საუნჯე დაყუდებულთა; განმაქარვებელი გულისწყრომისა, სარკე სისრულისა, გამომაჩინებელი საზომისა, სახე წესიერებისა; საუკუნოსა მის მომასწავებელი, ახოვნებისა სასწაული.

2. ლოცვად ჭეშმარიტისა მლოცველისათეს არს სამშჯავროდ და საყდარი და საშჯელი პირველ დიდისა მის საშჯელისა.

3. აღდეგით, ვისმინოთ სანატრელისა ამის დედოფლისა სათნოებათაჲსა ჳმად, რომლითა ლაღადებს ჩუენდა მომართ და იტყვს ჳმითა მალლითა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტკრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ, აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ჳპოოთ განსუენებად სულთა თქუენთა და ლხინებად წყლულებათა თქუენთა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ცოდვისა სენთა დიდთა მკურნალ“ (შდრ. მათ. 11,28-30).

4. რავდენნიცა მივალთ შემთხუევად ღმრთისა და მეუ-

ფისა ჩუენისა, ნუმცა ვიქმთ განუმზადებელად სლვასა მას, ნუუკუე გკხილნეს ჩუენ შორით უჭურველნი და შიშუელნი სამკაულისაგან სამეუფოდა და უბრძანოს მსახურთა მისთა შორს განძებად ჩუენი პირისაგან მისისა შეკრულნი, და წიგნნი იგი, სავედრებელნი ჩუენნი, დახეულნი, პირადვე ჩუენდა მოიქცენ.

5. მიხვდოდი რად წინაშე უფლისა წარდგომად, იყავნ სამოსელი სულისა შენისაჲ საქუსლითა მით ძკრუჴსენებლობისადათა მოქსოილი, თუ არა – ვერად ირგო ლოცვისა მისგან.

6. იყავნ ყოველივე თხოვაჲ შენი გონებითა მდაბლითა, რამეთუ მეზუერე იგი და უძღეები ერთითა სიტყვთა სათნოეყვნეს ღმერთსა.

7. ერთი სახჴ აქუს წარდგომასა მას ლოცვასა შინა წინაშე ღმრთისა, არამედ მრავალნი განყოფილებანი და თითოსახეობანი არიან მისნი.

8. რომელნიმე ვითარცა მეგობარსა და მეუფესა ეტყვან სხუათა მეოხებისათჴს და არღარა თავთა თჴსთათჴს; სხუანი დიდებასა და სიმდიდრესა სულიერსა და კადნიერებასა უმეტესსა ითხოენ; სხუანი განრომად წინამოსაჯულისა მათისაგან ევედრებიან; და სხუანი პატივისა მოღებასა ეძიებენ; სხუანი სრულიად განთავისუფლებასა თანანადებისა მათისაგან ილოცვენ; სხუანი – საპყრობილით ჴსნისათჴს; და სხუანი ცოდვათა შენდობისათჴს შეუვრდებიან.

9. ყოვლისა უპირატეს ქარტასა მას შინა ვედრებისა ჩუენისასა მადლობად დავანესოთ, და მეორედ – აღსარებაჲ და შემუხრვაჲ სულისაჲ გულისჴმის-ყოფით. და ესრეთლა ლოცვაჲ ჩუენი ვაუნყოთ მეუფესა, რამეთუ ესე არს სახჴ კეთილი ლოცვისაჲ, ვითარცა ძმასა ვისმე ეუნყა ანგელოზისა მიერ.

10. უკუეთუ სადა წარდგომილ ხარ წინაშე ხილულისა მსაჯულისა, არა საწმარ იყოს შენდა სხუად სახჴ დგომასა ლოცვისა შენისასა. უკუეთუ კულა არცა თვთ წარდგომილ ხარ, არცა სხუანი გიხილვან წარდგომილნი, მაშა მიიღე

სახლს ესე ჭირვეულისა სნეულისაგან, ვითარ ევედრებინ იგი მკურნალსა, რაჟამს ეგულებინ დაჭრაჲ ანუ დანუვაჲ მისი.

11. ნუ სიბრძნისმეტყუელებ ლოცვასა შინა, რამეთუ მრავალგზის ყრმათა ჩჩკლთა მარტივითა სიტყვთა მოწყალეყვეს მათ ზედა მამაჲ მათი ზეცათაჲ.

12. ნუ მრავლისმეტყუელებასა ეძიებ, რადთა არა განიბნოს გონებაჲ შენი ძიებად სიტყუათა, რამეთუ ერთმან სიტყუამან მეზუერისამან ღმერთი მოწყალე-ყო და ერთმან სიტყუამან საწმუნოებისამან ავაზაკი აცხოვნა.

13. მრავალმეტყუელებამან მრავალგზის გონებაჲ განაბნია, ხოლო მჭურვალედ ერთისაცა სიტყვსა თქუამამან შემოკრიბის იგი.

14. რაჟამს ლმობიერ იქმნე სიტყუასა რომელსამე ზედა ლოცვასა შინა, დაადგერ მას ზედა და იტყოდე მას მრავალგზის, რამეთუ მცველი ჩუენი მახლობელად ჩუენ თანა ილოცავს.

15. ნუ აჩუენებ კადნიერებასა ლოცვასა შინა, დაღათუ ფრიადი სინმიდლს გაქუნდეს, არამედ უფროდსად სიმდაბლითა ფრიადითა მოუწედ და უმეტესად კადნიერ იქმნე.

16. დაღათუ ყოველივე იგი კიბლს სათნოებათაჲ აღგველოს, ცოდვათა შენდობისათვისვე ილოცვედ, რამეთუ გესმის პავლესი, დიდისა მის მოციქულისაჲ, რასა იტყვს ცოდვილთათვის, ვითარმედ: „რომელთაჲ პირველი მე ვარ“ (1 ტიმ. 1,15).

17. შემზავებელი საჭმელთაჲ არს ზეთი და მარილი, და ფრთონამყოფელი ლოცვისაჲ – სინმიდლს და ცრემლნი.

18. უკუეთუ შეიმოსო ყოვლითურთ სიმშკდლს და ურისხველობაჲ, არა ფრიად დაშურე განთავისუფლებად გონებისა შენისა წარტყუენვისაგან.

19. ვიდრემდის მოვიგოთ ლოცვაჲ წმიდაჲ და ჯეროვანი, უწყოდე, ვითარმედ მიმსგავსებულ ვართ ყრმათა მცირეთა, რომელთა ვერ ძალ-ედვის სლვაჲ კეთილად.

20. ისწრაფე აღყვანებად გონებისა შენისა და შეყენებად

სიტყუათა შინა ლოცვისათა და, თუ მოუძღურდეს სიჩჩოდ-საგან მისისა და დამდაბლდეს, კუალად აღამაღლე იგი.

21. გონებისა თვისი არს დაუდგრომელობად, ხოლო შემძლებელ არს დაყენებად მისა, რომელსა-იგი ყოველივე ძალუც ღმერთსა.

22. ჰე, საყუარელო, უკუეთუ კეთილად იღუანო, მოვიდეს შენ ზედაცა, რომელი-იგი ზღუასა მას გონებისასა შეზღუდავს და ჰრქუას: „აქამომდე გამოხვდე და წაღმართ არღარა სადა წარხვდე“ (შდრ. იობ. 38,11).

23. შეუძლებელ არს შეკრვად სულისაჲ, ხოლო სადა შემოქმედი სულისაჲ იყოს, ყოველივე დაემორჩილოს მას.

24. უკუეთუ გიხილავს მზს, ძალ-გიცცა ზრახვად მისა მიმართ, ხოლო რომელი არა გიხილავს, ვითარ ზრახვიდე მას უტყუელად?

25. დასაბამი ლოცვისაჲ არს ნუღილადი ოდენ მოსლვად გულისსიტყუათაჲ და ადვილად წარდევნად მათი; ხოლო საშუალი არს, რაჲთა სიტყუათა მათ შინა ოდენ იყოს გონებაჲ; ხოლო სისრულს მისი არს სიყუარული ღმრთისაჲ.

26. სხუად არს სიხარული იგი ლოცვისაჲ, რომელი იქმნების მორჩილთა თანა, და სხუად არს, რომელი იქმნების დაყუდებულთა თანა. რამეთუ პირველსა მას შინა ნუუკუე იქმნების უცნებაჲცა ზუაობისაჲ, ხოლო მეორს ესე სავსე არს სიმდაბლითა.

27. უკუეთუ მარადის ასწავლიდე გონებასა შენსა არაგანშორებად შენგან, ტაბლისაცა დაგებასა შინა შენ თანა იყოს; უკუეთუ კულა დააჩვო დაუყენებელად მიმოსლვად, არა ოდეს მოვიდეს შენდა.

28. დიდი იგი ჭეშმარიტისა მის ლოცვისა მუშაკი პავლე იტყვს, ვითარმედ: „მნებავს ხუთ სიტყუა თქუმად გონებითა ჩემითა ეკლესიასა შინა“ (1 კორ. 14,19). ხოლო ჩჩვლთაგან გონებითა შორს არს ესე, რამეთუ ჩუენდა შემოკრებასა თანა გონებისასა სიმრავლსცა საჭმარ არს ლოცვისაჲ.

ხოლო მეორეც ესე პირველისა მის მომატყუებელ არს, ვითარცა იტყვს ნერილი, ვითარმედ: „მონიჭის ლოცვად ჭემმარიტი და წმიდად შრომით და ჭირით მლოცველსა და მვედრებელსა მისსა“ (შდრ. 1 მეფ. 2,9).

29. სხუად არს ბილწებად ლოცვისად, და სხუად არს განრყუნილებად, და სხუად არს წარპარვად, და სხუად არს ბინი.

30. ბილწებად ესე არს, რაჟამს დგეს კაცი წინაშე უფლისა და ბოროტთა გულისსიტყუათა ინურთიდეს. და განრყუნილებად არს, რაჟამს ლოცვისა ჟამსა ზრუნვათა მიმართ უსარგებლოთა წარიტყუენვოდის. და წარპარვად ესე არს, რაჟამს უცნაურად გონებად მიმოვიდოდის. და ბინი არს გულისსიტყუად ცუდი ყოველივე მას ჟამსა ჩუენდა მოსრული.

31. უკუეთუ არა მარტოებით ვიყვნეთ ჟამსა მას ლოცვისასა, შინაგან გამოვსახოთ სახე იგი ვედრებისად. უკუეთუ კულა არა იყვნენ ჩუენ თანა მსახურნი იგი ქებისანი, მაშინ გარეგანითაცა სახითა ვიქმოდით ვედრებასა. რამეთუ მრავალგზის შეერთვის გონებად ჯორცთა თანა, რომელნი ჯერეთ არა სრულ იყვნენ.

32. ყოველთავე, რომელნიცა მივიდოდინ მეუფისა, უჭმს შემუსრვილებად გულისად, ხოლო უფროდს ყოველისა მათ, რომელნი ითხოვდენ მოტევებასა თანანადებთასა და შენდობასა ცოდვათასა.

33. უკუეთუ მოაქამდე საპყრობილესა შინა ვართ, ვისმინოთ მისი, რომელი ეტყვს პეტრეს: „აღდეგ და მოიბლარდენ არდაგი მორჩილებისად, და აღიძარცუე ნებად შენი, და შიშუელი მისგან მოუწყედ უფალსა ლოცვასა შინა შენსა და მისსა ნებასა ოდენ ხადოდე, და მაშინ ჰპოო ღმერთი მპყრობელად საჭეთა მათ სულისა შენისათა, და დაუნთქმელად წარგიმართოს ცხორებად“ (შდრ. საქმე 12,7-8).

34. აღდეგ სოფლისმოყუარებისა და გემოთმოყუარებისაგან, განაგდენ ზრუნვანი და უარყვენ ჯორცნი შენნი და აღიძარცუენ გულისსიტყუანი. რამეთუ ლოცვად სხუად

არარაჲ არს, გარნა სოფლისა ხილულისაჲცა და უხილავისა უარის-ყოფაჲ, ვითარცა იტყვს მეტყუელი იგი, ვითარმედ: „რაჲ ძეს ჩემი ცათა შინა, ანუ შენგან რაჲ ვითხოვე ქუეყანასა ზედა?“ (ფსალმ. 72,25). არარაჲ, გარნა ესე, რაჲთა განში-შულეებული ყოვლისაგანვე საქმისა ლოცვითა მარადის შენ-და შემშჳუალულ ვიყო“.

35. რომელთამე კეთილად უჩნს სიმდიდრჳ, და სხუათა დიდებაჲ, და სხუათა – პატივი, ხოლო ჩემდა „მიახლებაჲ ღმრთისაჲ კეთილ არს და დადებაჲ უფლისა მიმართ სასოე-ბაჲ უვნებელობისა ჩემისაჲ“ (შდრ. ფსალმ. 72,28).

36. სარწმუნოებამან ლოცვაჲ ფრთოან-ყვის, რამეთუ თვნიერ მისა ზეცად აღსლვაჲ ვერ ძალ-უც მას.

37. ნუ დავსცხრებით ვნებულნი ესე ვედრებაჲ უფლისა, რამეთუ ყოველნივე უვნებელნი ვნებულეებისაგან მისწუთეს უვნებელობად.

38. დაღაცათუ არა ეშინის ღმრთისაგან მსაჯულსა მას, რამეთუ იგი თავადი არს ღმერთი, გარნა შრომისა მისთვის, რომელსა შეამთხუევდეს მას ცოდვათა მიერ და დაცემათა კეთილისაგან დაქურივებული სული, ჰყოს მან საშჯელი მისი წინამოსაჯულთა მათ ჳორცთაგან და მბრძოლთა მათ მისთა ეშმაკთაგან (შდრ. ლუკ. 18,3-8).

39. მადლიერთა მათ და კეთილთა სულთა კეთილი იგი უფალი ჩუენი ადრე მიცემითა თხოათა მათთაჲთა სიყუა-რულად თჳსად მიიზიდავს, ხოლო უმადლოთა მათ და უგუ-ლისჳმოთა არა მისცემს ადრე, რაჲთა შიმშილითა მით და წყურილითა თხოათა მათთაჲთა ყვნეს იგინი მოთმინე ლოც-ვით მარადის ვედრებაჲ მისა; რამეთუ ძალღმან მიიღის რაჲ პური, ნარვიდის ხოლო მიმცემელისა მისგან; და სულ-ღმან უგულისჳმომან მიიღის რაჲ თხოაჲ თჳსი, არღარა შე-უვრდებინ ღმერთსა ვედრებით.

40. ნუ იტყვ, თუ: „მრავალი ჟამი მაქუს ლოცვასა ში-ნა და ვერარაჲ წარმიმართებიეს“, რამეთუ აჰა ეგერა, წარ-

გიმართებიეს, რომელ სდგა წინაშე უფლისა და ზრახავ მას, რამეთუ რადმცა იყო უმაღლესი კეთილი, ვითარ დგომაჲ წინაშე უფლისა და ლოცვისა მიერ შეერთებაჲ მის თანა?!

41. არა ეშინის ესრეთ დაშვილსა განჩინებისაგან გუემისა თვისისა, ვითარ მოლუანესა ლოცვისასა – ლოცვისაგან, ნუუკუე ავნოს მას. ამისთვისცა, უკუეთუ ბრძენი და გონიერი იყოს, საურავისა მის მიერ მოსპოს მისგან ყოველივე ძკრის-ზრახვად, და ზრუნვად და უცალოებაჲ, და მწუხარებაჲ და სიმძიმჲ.

42. წინავე განჰმზადებდი სულსა შენსა ლოცვითა ვიდრე ჟამისა მისთვის ლოცვისა და ღმრთისა მიმართ ვედრებისა შენისა და ადრე წარემართო კეთილად.

43. ვიხილენ კაცნი, რომელნი მორჩილებასა შინა ბრწყინ-ვიდეს და გონებით რადზომცა შესაძლებელ იყო, ვსენებასა ღმრთისასა არა უდებ-ჰყოფდეს და მეყსა შინა ლოცვად დადგეს და ეუფლნეს მსწრაფლ გონებასა თვისსა, და ნაკადულნი ცრემლთანი, ვითარცა მდინარენი, სდიოდეს, რამეთუ წინაფთვე განამზადებულნი იყვნეს მორჩილებისა მიერ.

44. სიმრავლესა თანა ფსალმუნებასა განზნევაჲ აქუს გონებისად, ხოლო მარტოებითსა განზნევაჲ გონებისად არა ესრეთ ფრიად აქუს. გარნა კუალად მარტოებითსა მონყინებაჲ ჰბრძავს, და სიმრავლესა თანა გულსმოდგინებაჲ შეენევის.

45. სიყუარული მჰედრისად მეფისა მიმართ გამოაჩინის მისთვის ბრძოლამან, ხოლო სიყუარული მონაზონისად ღმრთისა მიმართ გამოაჩინის ლოცვისა ჟამმან.

46. საზომი და საქმჲ შენი ლოცვამან შენმან გამოგიცხადოს, რამეთუ სარკედ მონაზონისა სახელ-სდგეს მას წმიდათა მამათა.

47. რომელი ჟამსა ლოცვისასა შეექცევიენ საქმესა რასმე, მას ეშმაკნი ემღერეიან, რამეთუ ესე არს ნებაჲ ეშმაკთაჲ მათ, რადთამცა ჟამი ჟამითა წარიპარეს ჩუენგან.

48. ნუ უგულებელს-ჰყოფ, რომელი გევედრებოდის, თუ: „ლოცვა-ყავ ჩემთვის“, დაღაცათუ არა გაქუნდეს ლოცვაჲ სრული, გარნა ულოცე მას შემუსრვილითა გულითა, რამეთუ სარწმუნოებაჲმან მისმან, რომელმან ითხოის, მრავალგზის შემუსრვილებით მლოცველიცა აცხოვნა.

49. ეკრძაღე, ნუუკუე აღჰზუავენე, რაჟამს ლოცვა-ჰყო სხუათათჳს და სასმენელ-ყოს უფალმან ლოცვაჲ შენი, არამედ უწყოდე, ვითარმედ მათისა სარწმუნოებისათჳს ყო უფალმან მაღლი იგი.

50. ყოველივე მასწავლელი დღითი-დღე ეძიებნ ყრმისაგან წარმოთქუჲმად, რად-იგი ესწავის, და ყოვლისა გონებისაგან დღითი-დღე იძიოს ლოცვასა შინა ძალი, რომელი მიუღებეს ღმრთისაგან.

51. რაჟამს კეთილად ილოცო, მაშინ ბრძოლანი აღგიდგინენ მტერთა, რამეთუ ესე არს მარადის ჩუეულებაჲ მათი.

52. ყოველივე სათნოებაჲ, და უფროჲსლა ლოცვაჲ, გულისჴმის-ყოფით და მხურვალეებითა გულისაჲთა იქმნებოდენ.

53. სულმან მჴურვალედ მაშინ ილოცოს, რაჟამს გულისწყრომასა მძღე-ექმნას.

54. ყოველი საქმჴს, მრავლითა თხოითა და შრომითა და ჟამითა მოგებული, მტკიცე არს.

55. რომელმან უფალი მოიგოს თავსა შორის თჳსსა, მას არა უჴმს ლოცვისა სიტყჳთ სწავლაჲ, რამეთუ მაშინ სული იგი წმიდაჲ მეოხ არს მისთჳს თავისავე თჳსისა მიმართ სულთქუმიტა მით უსიტყუელიტა (შდრ. რომ. 8,26).

56. ხილულსამცა უცნებასა და ჩუენებასა ლოცვასა შინა ნუ შეინწყნარებ, ნუუკუე სიცოფჴს მოიწიოს შენ ზედა და გონებაცთომილ იქმნე.

57. ყოვლისავე თხოისა გულსავსებაჲ ლოცვასა შინა გამოჩნდების.

58. გულსავსებაჲ არს განთავისუფლებაჲ ყოვლისაგანვე იჴჳსა.

59. გულსავსებად არს უცნაურთა ცნობად შეუორგულე-ბელი.

60. იყავ მონყალე ფრიად, უკუეთუ ხარ მეძიებელი ლოცვისა წმიდისად, რამეთუ მის მიერ მოიგებენ მონაზონნი ასეულსა, ხოლო შემდგომი იგი – შემდგომთა თანა.⁶⁶

61. რაჟამს აღეგზნის ცეცხლი იგი მჭურვალეებისად სულსა შინა, მაშინ აღდგის ლოცვა და აღემართის. ხოლო რაჟამს ლოცვა აღდგის და ამაღლდის ზეცად, იქმნის გარდამოსლვად ნათლისა მის საღმრთოფსად ქორსა მას შინა სულისასა.

62. იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: „უაღრეს არს ლოცვად წესენებასა სიკუდილისასა“. ხოლო მე ვადიდებ გუამსა ერთსა ორითა ბუნებითა.

63. ცხენმან კეთილმან ვლის რად და განჭურდის, უმეტესად შესძინის სრბასა, ხოლო სრბად გულისწმა-ვჰყოფ გალობასა ლოცვისასა და ცხენად – ახოანსა მას გონებასა.

64. შორით ეცის ესევითარსა სული ბრძოლისად, და წინადთვე განემზადის რად, დაადგრის უკუნისამდე უძლეველად.

65. ფიცხელ არს წყურიელისათვს მიტაცებად წყლისად პირისაგან მისისა, და რაოდენ უფიცხლეს არს მონაზონისათვს მოსწრაფისა, რომელი ილოცვიდეს ლმობიერად, და-თუ ვინმე-უშალოს ლოცვად იგი სანადელი პირველ აღსრულებისა მისისა!

66. ნუ დასცხრები, ნუცა გენყინების ლოცვად, ვიდრემდის იხილო ცეცხლი და წყალი კუალად შენდავე მოქცეული,

⁶⁶ „შემდგომად“ იტყვს ოცდაათეულსა და სამოცეულსა, რომელსა მოასწავებს ერისკაცთათვს, ვითარმედ: ოცდაათეულსა მოიგებენ ქორწინებულნი, რომელნი სინმიდით იყვნენ მეუღლეთათვსთა თანა, და სამოცეულსა უქორწინებულნი და ქალწულნი, ხოლო ასეულსა – რომელთა სრულიად სოფელი მოიძულონ და ღმერთსა შეეყვინენ.

რამეთუ ნუუკუე ვერ ჰპოო სხუად ჟამი ესევეთარი შენდობად ცოდვათა შენთა ყოველთავე დღეთა შენთა.⁶⁷

67. რომელსა ეხილვოს გემოდ ლოცვისად, მრავალგზის ერთისაცა სიტყვსა თქუმითა შეამნიკულის გონებად თქსი; და წარდგის რად ლოცვად, სანადელი იგი სიტკბოებად ჩუეულე-ბისაებრ ვერ პოის.

68. სხუად არს ხედვად ზედაჲს-ზედა გულისად და სხუად არს ებისკოპოზობად გულისად გონებისა მიერ მთავრისა და მღდელთმოდურისა, შემწირველისა სიტყვერთა მათ მსხუერპლთა ქრისტესდა.⁶⁸

69. რომელთამე, მო-რად-ვიდეს ცეცხლი იგი წმიდად და ზეცისად, შესწუავს, ვითარცა იტყვს ღმრთისმეტყუელთაგანი ვინმე, ხოლო შესწუავს მათ ნაკლულევანებისათვს სინმიდისა. და კუალად რომელთამე განანათლებს საზომისათვს სისრულისა, რამეთუ მასვე ცეცხლსა შემწუველცა

⁶⁷ ესრეთ იტყვს, ვითარმედ უკუეთუ გაქუნდა ცრემლთა დინებად ღმრთისა მიერ მოცემული და ცეცხლი ღმობიერებისად დიდი, და ზუაობისათვს შენისა განგეშორნეს იგინი, ნუ დასცხრები ლოცვისაგან, ვიდრემდის კუალად იგივე ღმრთივმონიჭებულნი ცრემლნი და ცეცხლი იგი ღმობიერებისად შენდავე მოიქცენ, რამეთუ არა უწყი, თუმცა სხუად ესევეთარი ცოდვათა მოტევებისა მომატყუებელი საქმე ჰპოე.

⁶⁸ „ხედვად“ მოასწავებს გულისწმის-ყოფასა, ხოლო „ებისკოპოსობად“ ამას იტყვს მამად ესე, რადთა იყოს სული, ვითარცა ებისკოპოსი, უფლებულ ვნებათა, და ამისთვისცა შესძინა და თქუა, ვითარმედ – „გონებისა მიერ მთავრისა და მღდელთმოდურისა“. ან უკუე „ხედვად“ გულისად არს მცირე საზომი, რაჟამს უმზირდეს კაცი და ჰბრძოდის ვნებათა; ხოლო „ებისკოპოსობად“ არს სრულიადი უფლებად და მთავრობად ვნებათა ზედა; და „მთავარი“ არს გონებად, რომელი ჯორციელთა საზომთა კეთილად ჰმართებდეს და დააწყნარებდეს; ხოლო „მღვდელთმოდუარი“ არს გონებად, რომელი ყოველთა გულისსიტყუათა და ძალთა მისთა წმიდად წმიდასა საკურთხეველსა ზედა ლოცვისასა შესწირვიდეს.

და ნათელ განმნმედელ ენოდების. ამისთვისცა ვიეთნიმე გამო-რაჲ-ვიდოდინან ლოცვისაგან, ვითარცა საჭუმისისაგან, გამოვლენ განმნმედილნი ნივთისა მისგან ცოდვათადას; და სხუანი, ვითარცა ნათლისაგან განათლებულნი და ზენრითა სიმდაბლისაჲთა და სიხარულითა შემოსილნი, ესრეთ გამოვლენ მიერ; ხოლო რომელნი თვნიერ ამის ორისა სახისა გამოვლენ ლოცვისაგან, ეგევითართა ჴორციელად ულოცავს და არა სულიერად.

70. უკუეთუ ჴორცინი შეეხნეს რაჲ სხვსა ჴორცთა, იცვალეების სახცჳ და წესი მათისა ბუნებისაჲ, მაშა ვითარ არა შეიცვალოს, რომელი ჴორცსა ღმრთისასა შეეხებოდის ჴელითა უბრალოდათა?!

71. სახეთაებრ ქუეყანისა მეფეთადას იხილვების რაჲმე სახიერსა მასცა ჩუენსა მეუფესა თანა: რამეთუ ოდესმე თვთ და ოდესმე მეგობრისა მისისა მიერ, და ოდესმე მონისა მიერ და ოდესმე სრულიად უცნაურადცა, ნიჭთა თვსთა მიჰმადლებს მჴედართა თვსთა, არამედ მსგავსად სიმდაბლისა ჩუენისა განამრავლნის მადლნიცა მისნი ჩუენ თანა.

72. ვითარცა საძაგელ არს ქუეყანისა მეფისა, უკუეთუ ვინმე დგეს წინაშე მისსა და მიიქცევდეს პირსა თვსსა და ზრახვიდეს მტერთა მეფისათა, ეგრეთვე საძაგელ არს წინაშე ღმრთისა, რომელი დგეს ლოცვასა შინა და შეინწყნარებდეს არანმიდათა გულისსიტყუათა.

73. რაჟამს მოგიჴდეს ძალლი იგი, წარმტყუენველი გონებისაჲ, საჭურველითა მით ლოცვისაჲთა განდევნე, და რაოდენგზისცა განფიცხნეს, ნუ დააცადებ, ნუცა ადგილ-სცემ.

74. ითხოვდ გლოვისა მიერ, და ეძიებდ მორჩილებისა მიერ, და ირეკდი სულგრძელებითა, რამეთუ, რომელი ესრეთ ითხოვდეს, მოეცეს, და რომელი ეძიებდეს, პოოს, და რომელი ირეკდეს, განელოს (შდრ. მათ. 7,8).

75. ეკრძალე და დედაკაცისათვს ნუ ფრიად ილოცავ ლოცვასა შინა, ნუუკუე წარიტყუენო შენ მარჯუენით-კერძო.

76. ნუ იწყებ აღსარებად ჯორციელთა ცოდვათა შენთა ლოცვასა შინა, ვითარ გექმენ, რადთა არა მკლველ ექმნა თავსა შენსა.

77. ნუ ჰყოფ ჟამსა ლოცვისასა ჟამად გამონახვისა და ნურთისა სულიერთა საქმეთაჲსა, თუ არა, უაღრესი იგი დაგჭირდეს.

78. რომელსა დაუცადებელად ეპყრას კუერთხი იგი ლოცვისად, მას არა შეუბრკუმეს, და დაღაცათუ რამემ მოინოს და შეუბრკუმეს, სრულიად არა დაეცეს, რამეთუ ლოცვაჲ საკრველი არს საღმრთოდ და ტკბილი, რომელი არა მიუშუებს კაცსა ბოროტისა მიმართ.

79. ამისგან ვსცნობთ ფრიადსა მას სარგებელსა მისსა, რამეთუ არასადა ესრეთ გუბრძვანან მტერნი, ვითარ ლოცვასა შინა. ხოლო ნაყოფი მისი მაშინ ვცნათ, რაჟამს იძლინენ მტერნი ჩუენნი სრულიად, რამეთუ ამით ვცნა, ვითარმედ: „გთნავს შენ, უფალო, რადთა არა იხარებდეს მტერი ჩემი ჟამსა ბრძოლისასა ჩემზედა“ (შდრ. ფსალმ. 40,12).

80. იტყვს მეფსალმუნჲ: „ღალად-ვყავ ყოვლითა გულითა ჩემითა“ (შდრ. ფსალმ. 118, 145), ესე იგი არს, ვითარმედ პირითა და სულითა და გონებითა. რამეთუ, რომელსაცა ლოცვასა შინა შეკრბენ სული და გონებაჲ ერთად, მუნ ღმერთი არს მათ შორის (შდრ. მათ. 18,20).

81. არცა ჯორციელნი სახენი, არცა სულიერნი ყოველთანივე ერთ არიან, რამეთუ რომელთამე მაღიად-რე და რომელთამე გჯანად ლოცვაჲ ფსალმუნებისაჲ მოუვალს, რამეთუ პირველნი იგი – წარტყუენვასა გონებისასა და მეორენი – უსწავლელობასა ჰბრძვანან.

82. უკუეთუ დაუცხრომელად მტერთა შენთათჲს ევედრებოდი მეუფესა, რაჟამს მოგეახლნენ, გულჰყრობილ იყავ, არა ფრიად დაშურე, არამედ თკთ თავით თკსით ივლტოდინ შენგან, რამეთუ არა ჰნებაჲს არანმიდათა მათ, რადთამცა გხედვიდეს, ვითარმედ მიიღებ გკრგკნსა ბრძოლითა

მათითა, არამედ გუემულნი ლოცვისაგან, ვითარცა ცეცხლისაგან, ივლტოდინ.

83. ახოვნებაჲ კეთილი მოიგე შენ, და მოიგო ესრეთ ღმერთი მასწავლელად შენდა.

84. ვითარცა ხედვად თუალთაჲ სიტყვთ არა ისწავლების, რამეთუ ბუნებითი არს, ეგრეთვე არცა ლოცვისა შუენიერებაჲ ისწავლების სხვსა სიტყვთა, რამეთუ მას მოძღურად მისა ღმერთი აქუს. რამეთუ არა-თუ სიტყუანი არიან, რადთამცა გესმნეს და დაისწავლენ, ანუ სიკეთჳ ჴელოვნებისაჲ, რადთამცა მიიღე სხვსაგან, არამედ ღმერთი არს მოძღუარ მისა, „რომელმან ასწავის კაცთა მეცნიერებაჲ“ (ფსალმ. 93,10), და „მონიჭის თხოვად მლოცველთა მისთა, და აკურთხნის წელიწადნი მართლისანი“ (1 მეფ. 2,9), რამეთუ მისი არს დიდებაჲ ან და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

უვნებელობისათვის და სისრულისა და
აღდგომისათვის სულისა უნინარეს ყოველთა
აღდგომისა

თავი 29

1. აჰა ესერა ჩუენცა, დადებულნი მღვმესა მას უგულის-
ჯმოებისასა ღრმასა და ბნელთა მათ ვნებათა შინა და
აჩრდილთა სიკუდილისა ამათ ჯორცთაჲსა, ვინყებთ კად-
ნიერებით სიტყუად სამყაროჲსა ამისთვის მალლისა, რომელ
არს უვნებელობაჲ. რამეთუ ხილულსა მას სამყაროსა ცისასა
ჰქონან სამკაულად ვარსკულავნი, ხოლო უვნებელობასა –
სათნოებანი. რამეთუ მე უვნებელობასა სხუად ვერარად გუ-
ლისჯმა-ვჰყოფ, გარნა ცად გულისა და გონებისა, რომელსა
ყოველნივე ბრძოლანი ეშმაკისანი ნიავად შეერაცხნენ.

2. უვნებელი ჭემარიტი იგი არს, რომელსა ჯორცნი
უვნებელ და სრულიად უხრწნელ ექმნენ, ხოლო გონებაჲ და-
ბადებულთაგან აღემალლოს, და ყოველნივე საცნობელნი
მისდა დაემორჩილნენ, და წინაშე პირსა უფლისასა სული
თვისი წარედგინოს, და მარადის მისა მიმართ მივიდოდის
უზეშთაესცა ძალისა თვისისა. და კუალად ვიეთნიმე იტყვან,
ვითარმედ: „უვნებელობაჲ არს აღდგომაჲ სულისაჲ პირველ
აღდგომისა ჯორცთაჲსა“. და სხუანი იტყვან, ვითარმედ:
„უვნებელობაჲ გულისჯმის-ყოფაჲ არს ღმრთისაჲ სწორად
ანგელოზთაჲსა, გინა-თუ მცირედ ოდენ ნაკლულეგანად
მათგან“.⁶⁹

3. სრული იგი სრულთაჲ მათ დაუსრულებელი სრულე-
ბაჲ, რაჟამს მოვიდეს კაცისა თანა, ვითარცა მითხრობდა

⁶⁹ რამეთუ უვნებელნი მარადის სანადელისა მიმართ განუძლო-
მელად მიისწრაფიან, და ესრეთ სისრულესა თვისსა დაუსრულებელ-
ჰყოფენ, რამეთუ საუკუნეთა კეთილთა აღსასრული არა არს.

ვინმე, რომელსა ეხილვა გემოდ მისი, ვითარმედ: „ესრეთ ნმიდა-ჰყოფს გონებასა და ნივთთაგან სოფლისათა აღიტაცებს, რომელ უმეტესთა ჟამთა ცხორებისა მისისათა მისი იგი მეუღლჳ, აღტაცებული სოფლისაგან, ნავთსაყუდელსა მას შინა ზეცისა ხედვისასა გარდაიჭდინ, რომლისათვისცა იტყოდა, რომელსა ეხილვა გემოდ ამისი, ვითარმედ: „ღმრთისა ძლიერნი ქუეყანით ფრიად ამაღლდეს“ (ფსალმ. 46,10).

4. ესევეთარი იყო მეგვპტელი იგი,* რომელი ვერ იკადრებდა ჴელთა თვისთა მყოარ-ჟამ ზეცად აღჰყრობად, რაჟამს ილოცავნ ვიეთმე თანა, თუ არა, დაავინყდის, თუ სადა არს და არღა მოიქცევინ მუნ მრავალ ჟამ.

5. არს უვნებელი და არს სხუად უვნებელისა უუვნებელესი, რამეთუ ერთსა მას ძლიერად სძულან ბოროტნი, ხოლო მეორჳ იგი ფრიად მდიდარ არს სათნოებითა.

6. და სინმიდესაცა ქალწულებისასა უვნებელობა ეწოდების, და სამართლად, რამეთუ წინამსრბოლი არს ყოველთა აღდგომისა და უხრწნელებისა განხრწნადთა მათ ბუნებათადსა.

7. უვნებელობად აჩუენა მან, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „მაქუს გონებად უფლისად“ (შდრ. 1 კორ. 2,16).**

8. უვნებელობად აჩუენა მეგვპტელმან მან, რომელმან თქუა, ვითარმედ: „არა მეშინის უფლისაგან“.* **

9. უვნებელობად აჩუენა, რომელმან-იგი ილოცა, რადთამცა მოიქცეს ვნებანი მისდავე და ჰბრძოდეს მას.* ** *

10. ვინ მოიგო ამას სანუთროსა პირველ მერმისა მის საუკუნისა უვნებელობად და სისრულჳ ესევეთარი, ვითარ

* მამასა ტითოფს იტყვს.
** პავლეს იტყვს, მოციქულსა.
*** მამასა ანტონის იტყვს.
**** იოვანეს იტყვს, მოკლესა.

ასურმან მან;* რამეთუ სახელოანი იგი და დიდი წინადაწარმეტყუელთა შორის – დავით ეტყოდა უფალსა, ვითარმედ: „მილხინე, რადთა განვისუენო“ (ფსალმ. 38,14), ხოლო ესე დიდი მოღუანჭ უფლისაჲ იტყოდა, ვითარმედ: „დააცხრვენ, უფალო, ღელვანი მადლისა შენისანი“.

11. უვნებელობად აქუს მას სულსა, რომელი ესრეთ მჭურვალე იყოს სათნოებათა ზედა, ვითარ-იგი ვნებულნი – გულისთქუმათა ზედა.

12. უკუეთუ ესე არს ნაყროვანებისა საზღვარი, რომელ, დაღაცათუ არა უნდეს, აიძულებდეს თავსა თვსსა ჭამად, ესე სადმე საზღვარი არს მარხვისაჲ, რომელ მშიერსა მას ბუნებასა არავე სცემდეს საზრდელსა უბრალოდ.

13. უკუეთუ ესე არს ბუნებისა გარეგანი იგი საზღვარი სიძვისმოყუარებისაჲ, რომელ პირუტყუთაგანცა და უსულოთაცა ჭურჭელთა ევნებოდის, ესე სადმე საზღვარი სრულისა სინმიდისაჲ არს, რომელ ყოველთავე ვნებისათვს, ვითარცა უსულოთა ხედვიდეს.

14. უკუეთუ ესე არს აღსასრული ვეცხლისმოყუარებისაჲ, რომელ არაოდეს დასცხრებინ, არცა განძღებინ შეკრებიოთა, ესე სადმე სისრულე არს უპოვარებისაჲ, რომელ არცა ჯორცთა თვსთა ჰრიდოს.

15. უკუეთუ ესე არს სიდიდჭ მოწყინებისაჲ, რომელ განსუენებასაცა შინა მოთმინებაჲ არა აქუნდეს, ესე სადმე არს მოთმინებაჲ, რომელ ჭირი განსუენებად შეერაცხოს.

16. უკუეთუ ესე არს სიღრმჭ მრისხანებისაჲ, რომელ მარტოებითცა რად იყოს კაცი, განრისხნებოდის, ესე სადმე არს სულგრძელებისა საქმჭ, რომელ შემანუხებელსა მისსა, ვითარცა მეგობარსა ხედვიდეს.

17. უკუეთუ ესე არს ცუდადმზუაობრობისა სიმაღლჭ,

* მამასა ეფრემს იტყვს.

რომელ, თუმცა არავინ იყოს მაქებელი თანა, იგი მაჩუენებლობისა საქმეთა იქმოდის, ესე სადმე სიმდაბლისა სახე არს, რომელ არცა-თუ ერსა შორის ნარიპარვოდეს გონებაჲ მაჩუენებლობად.

18. უკუეთუ ესე არს ამპარტავანებისა სახც, რომელ უნდოთა საქმეთა ზედა მალლოოდის, ესე სადმე სიმდაბლისა სიკეთც არს, რომელ მალალნი იგი სათნოებანი თკსნი არარად შეერაცხნენ.

19. უკუეთუ ესე არს ვნებულებაჲ, რომელ ყოველთავე ეშმაკთა მიერ დათესილთა გულისსიტიყუათა შეუდგებოდის, ესე სადმე არს უვნებელობისა მის სანატრელისა სასწაული, რომელ ძალ-ედვას კაცსა ჭეშმარიტად თქუმაჲ, ვითარმედ: „გარემიქცევაჲ უკეთურისაჲ ჩემგან მე არა უწყოდე“ (ფსალმ. 100,4), არცა-თუ ვითარ მოვიდა, ანუ-თუ რაჲსათკს, არცა-თუ ვითარ ნარვიდა, არამედ ვარ სრულიად უმეცარ საქმესა ბოროტთასა, და ყოვლითურთ ვარ და ვიყო შეერთებულ ღმრთისა თანა მარადის.

20. რომელი სოფელსა ამასვე ღირს იქმნას ესე ვითარსა ამას საზომსა, მას მასწავლეჲლად თავისა თკსისა ღმერთი აქუს, რომელი-იგი დამკვდრებულ არს მის შორის, და შინაგან მისმიერი იგი ჳმაჲ ესმის ბრწყინვალედ ნათლითა მით საღმრთოდთა უმაღლეს ყოვლისავე ჳმისა ხილულისა.

21. „ოდეს-მე მივიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა?“ (ფსალმ. 41,3), რამეთუ ვერლარა ვიტკრთავ სურვილისა მის სიმძაფრესა, არამედ ვეძიებ სიკეთესა მას, რომელი პირველ ამის თიჯისა მომმაღლა მე.

22. უვნებელისათკს გრძელად რაჲ ვინ თქუას, რამეთუ „არლარა იგი ცხოველ არს, არამედ ცხოველ არს მის შორის ქრისტე“ (შდრ. გალ. 2,20), ვითარცა იტყკს, რომელმანი იგი „ღუანლი კეთილი მოიღუანა, და სრბაჲ აღასრულა, და სარწმუნოებაჲ მართალი დაიმარხა“ (შდრ. 2 ტიმ. 4,7).

23. ვითარცა არა შეიმზადების გვრგვნი მეფისად ერთითა ქვითა პატიოსნითა, ეგრეთვე უვნებელობად არა იქმნების, უკუეთუ ერთიცა სათნოებად უდებ-ყოს.

24. უვნებელობად ესრეთ გულისწმა-ყავ, ვითარმცა პალატი იყო იგი დიდისა მის მეუფისად, ხოლო სავანე მრავალ არიან მას შინა, და ზღუდწ მისი არს ცოდვათა მიტევებად.

25. ვრბიოდით, ძმანო ჩემნო, გევედრები, ვრბიოდით, და ვისწრაფდეთ შესლვად პალატსა მას მეუფისა დიდისასა და სასძლოსა მას სიხარულისასა! უკუეთუ კულა სიმძიმისაგან ცოდვათა და ბოროტთა ჩუეულებათაჲსა ვერ შევიდეთ მას სასძლოსა, #, განსაცდელი ესე! გარნა ბარე ვისწრაფოთ, რაჲთა ერთსა რასმე სავანეთა მისთაგანსა მივემთხვნეთ. უკუეთუ კულა მუნცა ვერ შევიდეთ, ზღუდესამცა გარე ნუ დავშთებით, არამედ ყოვლისა ღონისძიებითა ვისწრაფოთ შინაგან შესლვად ზღუდესა მას, რამეთუ, რომელი პირველ აღსასრულისა მას ზღუდისა შინაგან არა შევიდეს, უდაბნოთა გარე სცთებოდის და შეიჭამოს მწეცთა მიერ. ამისთჳს ილოცვიდა წინაღსწარმეტყუელი, ვითარმედ: „ღმრთისა ჩემისა მიერ გარდავჳწედ ზღუდესა“ (ფსალმ. 17,30), და სხუად წინაღსწარმეტყუელი იტყჳს, ვითარცა პირისაგან ღმრთისა, ვითარმედ: „არა ცოდვანი თქუენნი არიანა განმაშორებელ შორის ჩემსა და თქუენსა?“ (ეს. 59,2).

26. განვეკუეთოთ, #, საყუარელნო, შუაკედელი იგი ზღუდისად მის, რომელი-იგი ურჩებისა მიერ ბოროტად აღვაშენეთ, და მოვილოთ აქავე შენდობად თანანადებთად, რამეთუ არა არს ლხინებად, ანუ სინანული ჯოჯოხეთს შინა. მოვიცალოთ და გულისწმა-ვეოთ, რამეთუ არა გუაქუს მიზეზი – არცა ცოდვათა სიმრავლწ, არცა ტვრთისა სიმძიმწ, არცა ჟამთა სიმარცხწ, არცა სხუად რაჲ; რამეთუ, რომელთაცა შეინწყნარეს უფალი საბანელითა მით მეორედ შობისაჲთა, „მისცა მათ ჳელმნიფებად შვილ ღმრთისა ყო-

ფად“ (იოან. 1,12) და თქუა: „მოიცალეთ და გულისწმა-
ჰყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“ (ფსალმ. 45,11) და მე ვარ
უვნებელობად და სინმიდც“, რომლისად არს დიდებაჲ ან და
მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ!

გონებასა გლახაკსა აღადგინებს მწვრისაგან ვნებათაჲ-
სა და აღამაღლებს ზეცად სანატრელი უვნებელობად, ხო-
ლო სიყუარული ყოვლადქებული დასუამს მთავართა თანა
ანგელოზთაჲსა, მთავართა მათ თანა ერისა უფლისათა
(მდრ. ფსალმ. 112,7-8; 1 მეფ. 2,8).

სამებისა მისთვის სათნოებათადასა:
სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყუარულისა

თავი 30

1. ხოლო ან, შემდგომად ყოველთა მათ პირველთქუმულთა, ესე სამილა ჰგიეს, და საკრველსა მათ ყოველთასა განამტკიცებს და დაიმჭირავს: სარწმუნოებად, სასოებად და სიყუარული, და უფროეს ყოველთასა სიყუარული (შდრ. 1 კორ. 13,13), რამეთუ ღმერთ ენოდების. ხოლო მე ვხედავ ერთსა მას მცხინვარებად, და მეორესა – ნათლად, და მესამესა – მზისთუალად, ხოლო სამთავე ერთად ბრწყინვალეებად და შარავანდედად, რამეთუ პირველსა მას ყოველივე ძალ-უც ქმნად; და მეორესა წყალობად ღმრთისად გარემოადგს; ხოლო მესამე არა დავარდების, არცა ოდეს დასცხრების სრბისაგან, და მის მიერ მოწყულსა გულსა არღარა უტევებს განსუენებად ტრფიალებისა მისგან საღმრთოდასა.

2. რომელსა სიყუარულისათვის ენებოს სიტყუად, ღმრთისათვის ჳელ-უყოფიეს თქუმად, ხოლო ღმრთისათვის სიტყუთ თქუმად საცთურ არს უკრძალველთათვის.

3. სიტყუად სიყუარულისად ანგელოზთა მიერ ოდენ საცნაურ არს და მათ მიერცა ძალისაებრ ბრწყინვალეებისა მათისა.

4. „სიყუარული ღმერთი არს“ (1 იოან. 4,8), ხოლო რომელსა მისისა საზღვარისა თქუმად ენებოს, იგი უფსკრულსა შინა, დაბრმობილი, ქვშასა რიცხუავს.

5. სიყუარული ბუნებით მსგავსებად არს ღმრთისად, რაოდენ კაცთა მიერ შესაძლებელ არს და მისანთომელ, ხოლო საქმითა – სიმთრვალე არს სულისად კეთილი, ხოლო სახითა – წყაროდ არს სარწმუნოებისად, და უფსკრული სულგრძელებისად, და ზღუად სიმდაბლისად.

6. სიყუარული ჭეშმარიტი განშორებად არს ყოვლისავე წინააღმდეგომისა გულისსიტყვსა, რამეთუ სიყუარული ბოროტსა არა იგონებს.

7. სიყუარული და უვნებლობად და შვილებად საღმრთო სახელითა ოდენ განყოფილ არიან, ხოლო ძალი მათი ერთ არს, ვითარცა-იგი ცეცხლი და ალი და ნათელი.

8. რაოდენ სიყუარული დააკლდებოდის, შიში განმრავლდების, რამეთუ რომელსა შიში არა აქუნდეს, იგი ანუ სიყუარულითა აღვსებულ არს, ანუ სულითა მომკუდარ არს.

9. არად არს დამაყენებელ, რადთა მოვიხუნეთ სახენი შიშისა ღმრთისა, და მოსწრაფებისა, და შურისა კეთილისა, და მონებისა და სიყუარულისა ღმრთისა.

10. ნეტარ არს, რომელმან ესევითარი სიყუარული მოიგოს ღმრთისა, ვითარი აქუს ტრფიალსა ბოროტსა ტრფიალისა მიმართ თვისისა.

11. ნეტარ არს მის კაცისა, რომელსა ესრეთ ეშინოდის უფლისა, ვითარცა ეშინის მსაჯულისაგან მის მიერ დასჯილთა.

12. ნეტარ არს, რომელსა ესრეთ სურის უფლისა, ვითარცა მშვიერსა – პურისა მიმართ.

13. ნეტარ არს, რომელი ესრეთ მოსწრაფე არს მონებად უფლისა, ვითარცა მონანი ერთგულნი – უფლისა მათისა.

14. ნეტარ არს, რომელთა აქუს ესევითარი შური სათნობათათკს, ვითარცა კაცთა დიდებისმოყუარეთა სოფლისათა – პატივთა მათთკს სამეუფოთა.

15. ნეტარ არს, რომელი ესრეთ დგეს ლოცვასა შინა წინაშე უფლისა, ვითარცა მწედარნი დგანან შიშით წინაშე მეფისა.

16. ნეტარ არს, რომელი ისწრაფის მომადლებად უფლისა, ვითარ მეგობარნი – ურთიერთას.

17. არა სურინ ჩჩკლსა ყრმასა ესრეთ დედისა თვისისათკს, ვითარ კაცსა, შვილსა სიყუარულისასა, სურის უფლისათკს.

18. რომელსა აქუნდეს ვისდამე მიმართ სიყუარული მტკიცე და ტრფიალებად, მას მარადის პირი საყუარელისა მის მისისად ეოცნებინ და შინაგან სიტკბოებით შეიტკბობნ მას, და ძილსაცა შინა არა განქარდებინ სურვილი მისი, არამედ მასვე ხედავენ. ესრეთ იქმნების ჯორციელთაცა სიყუარულსა ზედა და უჯორცოთაცა.

19. მოიწყლა ვინმე ამის მიერ და იტყოდა საკვრველად, ვითარმედ: „მე მძინავს ბუნებისათვს ჯორცთადსა, ხოლო გული ჩემი მღკდარე არს სიმრავლისა მისთვის სიყუარულისა“ (შდრ. ქებ. 5,2).

20. ესე საცნაურ იყავნ შენდა, ჰ, ნეტარო, ვითარმედ რაჟამს მოსწყდნეს ქუენარმავალნი იგი ბოროტნი ირემმან მან, რომელ არს სული ახოანი, მაშინ სურინ და მოაკლდებინ უფლისა მიმართ (შდრ. ფსალმ. 83,3); რამეთუ ცეცხლითა მით სიყუარულისადათა, ვითარცა წამლითა შემწუველითა, შეინუვებინ.

21. შიმშილისა საქმე უცნაურ არს და უჩინო, ხოლო ნყურილისა – ფიცხელ და ცხად და ყოველთა მიერ საცნაურ. ამისთვის იტყოდა, რომელსა-იგი სუროდა ღმრთისა მიმართ, ვითარმედ: „სუროდა სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ცხოველისა“ (შდრ. ფსალმ. 41,3).

22. უკუეთუ ხილვად მეგობრისად მხიარულ-გუყოფს ჩუენ, რადმცა არა ქმნა ხილვამან პირისა ღმრთისამან, რაჟამს მოვიდის გულისა მიმართ წმიდისა უხილავად.

23. შიში ღმრთისად, რაჟამს მჭურვალეობითა სულისადათა იყოს, განჰლევს და მოსპოლავს მნიკულევანებათა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „შემშჭუალენ შიშსა შენსა ჯორცნი ჩემნი“ (ფსალმ. 118,120); ხოლო სიყუარული წმიდად რომელთამე შეშჭამს, ვითარცა იტყვს მეტყუელი იგი, ვითარმედ: „შეინუნეს გულნი ჩუენნი“; და კუალად სხუათა განაბრწყინვებს და მხიარულ-ჰყოფს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მისა მიმართ ესვიდა გული ჩემი და შემენია მე და მხიარულ იქმნეს ჯორც-

ნი ჩემნი“ (ფსალმ. 27,7), და „რაჟამს გული იხარებნ, პირიცა იშუებნ“ (იგავ. 15,13).

24. რაჟამს კაცი ყოვლითურთ შეეზაოს სიყუარულსა ღმრთისასა, მაშინ გარეგანცა, ვითარცა სარკითა გამოაჩინებს შინაგანსა მას ბრწყინვალეზასა სულისასა, რამეთუ ესრეთ იდიდა მოსე ღმრთისმხილველი. და რომელნი მიიწივნეს ესევეითარსა მას ანგელოზებრსა საზომსა, მრავალგზის საზრდელიცა ჳორცთა დაავიწყდების, და რად საკურველ არს ესე, ვინადთგან ბოროტმანცა სურვილმან მრავალგზის საზრდელი დაავიწყა.

25. ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ, რომელნი ამას უხრწნელსა საზომსა მიიწივნენ, არცა ჳორცნი მათნი შევარდებიან საღმობათა ჩუეულებისაებრ, რამეთუ წარწყმდეს მისგან მიზეზნი სენტანი, ვითარცა-იგი დაშრტა ალი მჳურვალეზისა. და არცალა საზრდელი, რომელსა მიიღებდიან, ეჰამებინ, რამეთუ წყალი ზრდის ძირსა ხეთასა, ხოლო ცეცხლი იგი ზეცისა – სულსა მათსა.

26. აღორძინებად შიშისა ღმრთისად არს დასაბამი სიყუარულისად, ხოლო აღსასრული სიყუარულისად არს დასაბამი ღმრთისმეტყუელებისად.

27. რომელმან საცნობელნი თჳსნი ღმერთსა შეაერთნა, მან ისწავლნეს საიდუმლონი მისთა სიტყუათანი, რამეთუ უკუეთუ არა ესრეთ იქმნას, ძნელ არს ღმრთისათჳს სიტყუად.

28. სიტყუად იგი არსებითი სრულ-ჰყოფს სინმიდესა, ხოლო მოსლვამან მისმან მოაკუდინის სიკუდილი. და მო-რად-კუდეს სიკუდილი, მერმე განათლდეს მოწაფჳ იგი ღმრთისმეტყუელებისად.

29. სიტყუად უფლისად ჰგიეს უკუნითი-უკუნისამდე, ხოლო რომელსა უფალი ღმერთი ვერ გულისჳმა-ეყოს ჯერი-საებრ, იგი ჰაზრით იტყუნ.

30. სინმიდემან და სიყუარულმან მოწაფჳ იგი საყუარე-

ლი ღმრთისმეტყუელ-ყვეს, რომელმან დაამტკიცა სიტყვთა თვისთა სარწმუნოებად წმიდისა სამებისად.

31. რომელსა უყუარს უფალი, მას პირველვე შეუყუარებებს ძმად თვისი, რამეთუ სასწაული პირველისად მის არს მეორეც ესე.

32. რომელსა უყუარდეს მოყუასი, არასადა ისმინოს მან ძვრისზრახვად, არამედ, ვითარცა ცეცხლისაგან, ივლტოდის მისგან.

33. რომელი იტყოდის, თუ: „მიყუარს უფალი“, და ძმად თვისი სძულდეს, მსგავს არს კაცსა, რომელი ძილსა შინა რბიოდის.

34. ძალი სიყუარულისად სასოებად არს, რამეთუ მის მიერ მოველით სასყიდელსა მას სიყუარულისასა.

35. სასოებად არს უცნაურისა სიმდიდრისა სიმდიდრე.

36. სასოებად არს შეუორგულელებელი პირველ საუნჯისა საუნჯე.

37. სასოებად არს შრომათა შინა განსუენებად, და იგი არს კარი სიყუარულისად, და იგი არს შემმუსრველი სასონარკუეთილებისად, და იგი არს საუკუნოვსა მის ხატი.

38. ნაკლულევანებად სასოებისად უჩინო-ყოფად არს სიყუარულისად, რამეთუ მისდა მოკიდულ არიან მოღუანებანი, მას ჰკიდვან შრომანი, მას გარემოადგს წყალობად.

39. მონაზონი, სასოებისა მუშაკი, მკლველი არს მონყინებისად, რამეთუ მახვლითა სასოებისადთა დაჰკლავს მას.

40. სასოებასა შობს გამოცდილება ნიჭთა უფლისათად, რამეთუ გამოუცდელი არა შეუორგულელებელ არს.

41. სასოებასა დაჰჰსნის გულისწყრომად, რამეთუ სასოებასა არასადა ჰრცხუენეს, ხოლო გულისწყრომად საქმე არს სირცხვლისად.

42. სიყუარული თავი არს წინაღსწარმეტყუელებისად, სიყუარული მომცემელი არს ნიშებისად, სიყუარული უფსკრული არს ბრწყინვალეებისად, სიყუარული წყაროდ არს ცეცხ-

ლისაჲ – რაფზომცა აღმოეცენოს, ეგოდენცა წყურიელი იგი შენუას, სიყუარული სიმტკიცე არს ანგელოზთაჲ, სიყუარული წარმართებაჲ არს მის საუკუნოჲსაჲ.

43. გკთხარ ჩუენ, ზ, შეენიერო შორის სათნოებათა, და გუაუნყე, სადა აძოებ ცხოვართა შენთა? სადა იყოფები? განგუანათლენ ჩუენ, გუასუ ჩუენ, და წარგკძელუ ჩუენ და აღგკყვანენ, რამეთუ აღსლვად გუსურის შენდა მომართ, რამეთუ შენ უფლებ ყოველთა ზედა! ხოლო ან სული ჩემი აღატყინე შენ, და ვერლარა თავს-ვიდებ აღსა მას შენსა, ამისთვის მარადის გიგალობდე შენ. შენ უფლებ ძალსა ზედა ზღკსასა, და ოხრაჲ ღელვათა მისთაჲ შენ დაანყნარო. შენ დაამდაბლო, ვითარცა წყლული, გულისსიტყუაჲ ამპარტავანი. ძლიერებითა მკლავისა შენისაჲთა განაბნიენ მტერნი შენნი, და ჰყვენ მოყუარენი შენნი უბრძოლველ! (შდრ. ფსალმ. 88,10-11)

44. ხოლო, თუ ვითარ გიხილა შენ იაკობ თავსა ზედა კიბისასა, მნებაჲს სწავლად, და რაჲ არს სახე აღსავალისა მის კიბისაჲ, მაუნყე მე სურვიელსა ამას! ანუ რაჲ არს საქმეჲ და შენყობილებაჲ მათ ხარისხთაჲ, მაუნყენ, რომელნი-იგი აღსავალად გულსა თკსსა დაისხნა შენმან მან ტრფიალმან! ანუ რაჲ არს რიცხჲ მათი, მწყურის მე ცნობად, ანუ რაჲ არს ჟამი მუნ აღსლვისაჲ. რამეთუ წინამძღუარნი უწყნი, ვითარმედ ანგელოზნი არიან, ვითარცა გუასწავა მოყუარემან შენმან, იაკობ.

45. ხოლო ამას ყოველსავე ზედა მოიხილა ზეცით მეუფემან ამან სათნოებათამან, და ყურთა შინა სულისა ჩემისათა იტყჲ: „ჰე, ტრფიალო ჩემო, უკუეთუ არა განიწსნა სიზრქისაგან ამის საწუთროჲსა, ჩემი სიკეთე, ვითარცა ჯერ არს, ვერ იხილო. ხოლო კიბისა მის თუ ხარისხთა და აგებულებათა იკითხავ, სათნოებათა სულიერი იგი შენყობილებაჲ იხილე და სცნა. ხოლო მე თავსა ზედა მათ ყოველთასა მჯდომარე ვარ, და ვითარცა იტყჲ მსახური საიდუმლოჲსა ჩემისაჲ, დიდი

პავლე, ვითარმედ: „ესე სამნი დამტკიცებულ არიან: სარწმუნოებად, სასოებად და სიყუარული, ხოლო უფროდს ყოველთასა სიყუარული“ (შდრ. 1 კორ. 13,13).

46. არამედ ან ძმანო, აღვიდოდეთ, აღვიდოდეთ აღსავალსა ამას გულსმოდგინედ, რამეთუ გესმის მეტყუელისად მის, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „მოვედით, აღვიდეთ მთასა უფლისასა, და სახლსა ღმრთისა ჩუენისასა (შდრ. ეს. 2,3), რომელმან დაამტკიცნა ფერწნი ჩუენნი, ვითარცა ირემთანი და მალალთა ზედა დაგუადგინნა ძლევად გალობითა მისითა“ (შდრ. ფსალმ. 17,34).

47. რბიოდეთ ყოველნი, გევედრები, მის თანა, რომელი იტყვს, ვითარმედ: „ვისწრაფოთ, ვიდრემდის მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომსა ჰასაკისა სავსებისა ქრისტესისა“ (შდრ. ეფეს. 4,13), რომელმან-იგი ოცდაათისა წლისამან ხილულითა მით ჯორცთა მისთა ჰასაკითა ნათელ-ილო და მეოცდაათესა ამას ხარისხსა სულიერისა ამის კიბისა ჩუენისასა ზედა მჯდომარე არს. რამეთუ სიყუარული ღმერთი არს, რომლისად არს გალობად, რომლისად არს სიმტკიცე, რომლისად არს ძალი, რომლისად ყოველივე მიზეზი კეთილთად არს, და იყო, და იყოს, ან და მარადის დაუსრულებელთა მათ ნათელთა საუკუნეთა, უკუნისამდე. ამინ.

კიბჭ სათნოებათა

- ლ. სიყუარულისათვის და სარწმუნოებისა და სასოებისა
- კთ. ნავთსაყუდელისა მისთვის უვნებლობისა
- კჭ. ანგელოზებრივისა და ქეშმარიტისა ლოცვისათვის
- კზ. სამყაროსა მისთვის მალლისა, რომელ არს დაყუდება
- კვ. სანთელისა მისთვის გულისჯმის-ყოფისა და განკითხვისა
- კე. ვნებათა მომსრველისა მის სიმდაბლისათვის
- კდ. ქრისტეს მიერ სწავლულისა სიმშუდისა და სინრფოებისათვის
- კგ. ძღვევისათვის ბოროტისა მის გამობისა ეშმაკისა
- კბ. ოტებისათვის მზუაობრობისა და ამპარტავანებისა
- კა. განთავისუფლებისათვის ბოროტისა მოშიშებისა
- კ. განმანათლებელისა მის მღვდარებისათვის
- კით. სიმრავლესა თანა ფსალმუნებისათვის
- კიჭ. ძღვევისათვის უკეთურისა მის უღმობელობისა
- კიზ. ცად აღმყვანებელისა მისთვის უპოვარებისა
- კივ. ძღვევისათვის კერპთმსახურისა მის ვეცხლისმოყუარებისა
- კიე. უზრწნელისა მის და სანატრელისა სინმიდისათვის
- კიდ. ძნიად მოსაგებელისა მის მარხვისათვის
- კიგ. ღვინებისათვის დაწსნილისა მის მოწყინებისა
- კიბ. კურნებისათვის მზაკვარისა მის ტყუილისა
- კია. სულთა განმანათლებელისათვის დუმილისა
- კი. ცოდვათა შემნდობელისა არაგანკითხვსათვის
- კით. ბრალთა დამწსნელისა ძვრუქსენებლობისათვის
- კიჭ. დანყნარებულისა მის ურისხველობისათვის
- კიზ. სამარადისოსა გლოვისათვის
- კივ. სულისა აღვრ-მსხმელისა სიკუდილისა წსენებისათვის
- კიე. ღმრთივსწავლულისა სინანულისათვის
- კიდ. ქრისტეს მიმსგავსებულისა სიკუდილადმდე მორჩილებისათვის
- კიგ. საღმრთოსა უცხოებისათვის
- კიბ. სიმდაბლისა მომგებელისა სოფლისა სიძულილისათვის
- კია. პირველი კიბჭ სათნოებათა – სივლტოლად სოფლისა